# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 31 იანვარი. 2018 წ. №20 (8421), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## დანაშაული ⑤

### დანაშაულებრივად მატულობს!



2017 წელს 37 944 დანაშაულია რეგისტრირებული!

SOS!

მარტო დროს ნუ დავაბრალებთ...

## „ნენსკრაჰესი“ 200 ჰექტარ ტყეს შეიწირავს?! ⑨

## მძიმე გზა ბინისკენ



⑪

### დევნილები შედეგებს ასაჩივრებენ

## ეპოქის მომაკვდინებელი ცოდვები...

### „მე, მეგობრები და ჰეროინი“

⑦





## დამნაშავენი უმკაცრესად უნდა დაისაჯონ!

# ახალგარემონტებული მეტროსადგურის ჭერი ხუთ თვეში ჩამოინგრა

**მეტრო „ვარკეთილში“ გუშინ, 30 იანვარს 10:30 წუთზე შეკიდული ჭერი ჩამოინგრა. დაშავებულია 14 ადამიანი. მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჭერის ჩამონგრევასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.**

უწყების პრესსამსახურის ცნობით, მომხდარზე ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

**არ მინდა, შევიჭრა შესაბამისი უწყებების კომპეტენციაში, მაგრამ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ მომხდარის მიზეზები დროულად დადგინდეს და ყველამ თავისი დანაშაულის შესაბამისად აგოს პასუხი,** — განაცხადა დედაქალაქის მერმა საგანგებო ბრიფინგზე, სადაც „ვარკეთილის“ მეტროში მომხდარ ნგრევაზე ისაუბრა. კახა კალაძე ამბობს, რომ ყველა პასუხისმგებელმა პირმა უმკაცრესად უნდა აგოს პასუხი:

**„აღნიშნული სამუშაოები შეასრულა კომპანია ყვარელრემმშენმა და მისი ჯამური ღირებულება შეადგენს 347 852 ლარს. ეს სამუშაოები დაიწყო 2016 წელს და დასრულდა 2017 წლის აგვისტოში. განახლებული მეტროსადგური ექსპლუატაციაში შევიდა სექტემბრიდან და რამდენიმე თვეში მივიღეთ ეს შედეგი. ჩვენ გვაქვს კითხვები და ამ კითხვებს დროულად უნდა გაეცეს პასუხი. მე როგორც ვიცი, გამოძიება უკვე დაიწყო შესაბამისმა სამსახურებმა და არ მინდა, შევიჭრა შესაბამისი უწყებების კომპეტენციაში, მაგრამ ძალისხმევას არ დავიშურებთ რომ მომხდარის მიზეზები დროულად დადგინდეს და ყველამ თავისი დანაშაულის შესაბამისად აგოს პასუხი. არ ეპატიება არც ერთ კომპანიას, არც ერთ ადამიანს, ვისი არაჯეროვანი და უპასუხისმგებლო მოქმედებების შედეგადაც თუნდაც ერთი მოქალაქის, ჯანმრთელობას უსაფრთხოებას ან სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაუმუქროს“,** — განაცხადა მერმა.

იხ. 2 გვ.

# გაშხლართულები!

პამფლეტი





დღეის ამას იქით... უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილს კიევის სააპელაციო სასამართლომ 22 საათიდან 07 საათამდე „გაშხლართვა“ მიუსაჯა, ყველა დედალი თუ მამალი „ნაციონალი“ ვალდებულია, პროტესტის ნიშნად, იატაკზე ან მიწაზე გაიშხლართოს. უფრო ზუსტად, თუ რა ფორმით უნდა გაიშხლართონ წმ. მიHას მიმდევრები, მოცემულია სპეციალურ ვიდეორგოლში, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა თვით წმ. მიHამ. ნიმუშად შეგიძლიათ ნახოთ „რუსთავორელ“ გიორგი (იგივე ჯულიეტოვნას) წაქცევა, ანუ გაშხლართვა პირდაპირ სტუდიაში.

რატომ მაინცდამაინც გაშხლართვა? ეს გახლავთ ერთგვარი ჟესტი ცის, ჰაერისა და მიწის შესუნთქვისა. რიტუალური ილეთები ასეთია: გამოქანდებით, ხელებს ზემოთ ასწევთ, გაშლით რკალისებურად, მერე უცებ „დაატორმუზებთ“ და ზურგზე დაეცემით. უკაცრავად, ეს სულაც არ არის ზურგზე დაცემა ჩვეულებრივი გაგებით (როგორც დამარცხებულები ეცემიან ხოლმე), ეს არის ზემოთ ცქერის პროცედურა, ეს შთაგონება და კავშირის დამყარებაა ზეციურ ძალებთან. ამ დროს თქვენ კოსმოსიდან იღებთ ენერგიას და ძლევამოსილებას, რათა შემდეგ დედამიწაზე დაამარცხოთ ბოროტი ძალები. აეგრე!

გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები გამოქანდებით შემაღლებული ადგილიდან. მაგალითად, მთაწმინდიდან. თუმცა, ვინაიდან მთაწმინდა მხოლოდ თბილისშია, საამისოდ გამოდგება ნებისმიერი მთა, ბორცვი, გორა, შემაღლებული ადგილი, ანუ დაღმართი. მართალია, მიშა ზღვის სანაპიროზე იშხლართება ხოლმე, მაგრამ ეგ მიშაა, მაგას შეუძლია, ყველანაირ პოზაში გაიშხლართოს. თქვენ კი აუცილებლად „რაზგონი“ გჭირდებათ!

როდესაც საქმე რევოლუციამდე მივა, ყველანი მიხვალთ რუსთაველზე და იქ გაიშხლართებით. ამის შემდეგ რა ბებიათქვენისას მიიღებთ, არ ვიცი, მაგრამ ამ ეტაპზე გეგმა-ვალდებულება ასეთია!

სხვათა შორის, გაშხლართვის იდეა არ ეკუთვნის მიხეილ სააკაშვილს (როგორც ყოველთვის, ახლაც პლაგიატობს), ეს გეგმა გახლავთ ამერიკაში მცხოვრებ დოდონა კიზირიას მიერ შემუშავებული. ეს ქალბატონი არა მხოლოდ ბილწსიტყვაობით გამოირჩევა, არამედ ხშირად დახეტიალობს ზღვის სანაპიროზე და იშხლართება ხოლმე. „ვოტ, ტაკ“!

**ლევან სიხარულიძე**

leaderinfo.ge

## ლორა თორნტონი ბოდიშს იხდის



**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლორა თორნტონმა Facebook-ზე დაწერილი პოსტის გამო სოციალური ქსელის მეშვეობით, ბოდიში მოიხადა.**

თორნტონის თქმით, მისი მიზანი საქართველოსთვის ან საქართველო-აშშ-ის ურთიერთობისთვის ზიანის მიყენება არ ყოფილა.

**„კომენტარი გავაკეთე ჩემს პირად გვერდზე სოციალურ მედიაში, რომელიც შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც არასამართლიანი საქართველოსთვის ან საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებისთვის. ბოდიშს ვიხდი ამისთვის, ეს არ ყოფილა ჩემი მიზანი. მე მჯერა მტკიცე ურთიერთობების, რომლებიც დაფუძნებულია საერთო ღირებულებებსა და ინტერესებზე. NDI-ის ოფისი იმ სამუშაოს ერთგულია, რომელსაც საქართველოში ასრულებს“,** — წერს ლორა თორნტონი.

მან რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ტრამპი რუკაზე საქართველოს დიდი ალბათობით ვერც იპოვის.

## იან კელი: საქართველომ თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა სურს და არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყანაზე



საქართველოში აშშ-ის ელჩმა იან კელიმ ჟურნალისტებს Heritage Foundation-ის ანგარიშის კომენტირებისას განუცხადა, რომ ნატოში საქართველოს მიღება „ნატოსა“ და ევროკავშირის ინტერესებშია.

**„აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, არის მტკიცე მხარდამჭერი იმისა, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი. თვითონ ნატოს ზოგიერთ წევრ ქვეყანაში არსებობს შეხედულება, რომ საქართველოს წევრობამ შეიძლება გამოიწვიოს რუსეთის გაღიზიანება, თუმცა საქართველო არის სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელმაც თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა სურს და არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყანაზე. შესაბამისად, ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს მისწრაფებებს, მის სუვერენულ გადაწყვეტილებას“,** — განაცხადა იან კელიმ.

## „პოროშენკოს შემოთავაზებაზე პასუხი არ გაგვიცია“ — სანქციები რუსეთის წინააღმდეგ

პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის თქმით, უკრაინის პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე პეტრო პოროშენკოს ინიციატივისთვის, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მექანიზმს შეუერთდეს, პასუხი არ გაუცია.



**„ჩვენ შეხვედრაზე პასუხი ამ შემოთავაზებაზე არ გაგვიცია. ზოგადად რაც შეეხება ჩვენს საგარეო პოლიტიკას, გვაქვს ძალიან მკაფიო ხედვა — თითოეულ საკითხს ვათანხმებთ ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მუდმივი კონსულტაციები გვაქვს მთავრობასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. ყველა საკითხი გადაწყდება ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისად“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უკრაინაში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა პეტრო პოროშენკოსთან. უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მექანიზმის დახვეწაზე და საქართველოს შეუძლია, აღნიშნულ პროცესს შეუერთდეს.

## ემზადებიან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის

**საქართველოს პარლამენტი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის პროგრამის მოსამზადებელ და საორგანიზაციო სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესა და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საორგანიზაციო კომიტეტს შორის გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ.**



როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოსთვის საქართველოს გაცნობის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა.

## „ქართულმა ოცნებამ“ დაანებოს თავი გირგვლიანის სახელით მანიპულირებას

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა ნაცვლიშვილი მოუწოდებს მმართველ პარტიას, გაათავისუფლოს სისტემა იმ პროკურორებისგან, სპეცსამსახურების თანამშრომლებისგან და მოსამართლეებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში აკეთებდნენ, უკვეთავდნენ, ხელს აფარებდნენ და სამართლის ფორმით აფორმებდნენ უსამართლობას, ადამიანის უფლებების დარღვევას და ადამიანის უფლებების შელახვას.

**„სისტემური დანაშაულებით დაზარალებული საქართველოს ასობით მოქალაქე წლებია, ელოდება სამართალს. ამიტომ „გირგვლიანის პაკეტი“ უნდა მოიცავდეს ისეთ მოქმედებებს, როგორიც არის იმ პროკურორებისგან, სპეცსამსახურების თანამშრომლებისგან და მოსამართლეებისგან გათავისუფლება, რომლებიც წლების განმავლობაში აკეთებდნენ, უკვეთავდნენ, ხელს აფარებდნენ და სამართლის ფორმით აფორმებდნენ უსამართლობას, ადამიანის უფლებების დარღვევას და ადამიანის უფლებების შელახვას. სხვა შემთხვევაში „გირგვლიანის პაკეტი“ იქნება ფარსი. რასაც ჩვენ ეს წლებია, ვუყურებთ ეს არ არის მართლმსაჯულების განხორციელება დაზარალებული ადამიანების ინტერესების სასარგებლოდ, ეს არის მართლმსაჯულების ფარსი და ადამიანების ემოციებით მანიპულირება“,** — განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

## აშშ-მა კრემლის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

**აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა „კრემლის შესახებ ანგარიშის“ სახელით ცნობილი დოკუმენტი,რომელშიც დასახელებულნი არიან პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაახლოებული პოლიტიკოსები და ბიზნესმენები.** „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, დოკუმენტში მითითებულია 210 პირი, კერძოდ, მაღალჩინოსნები, სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელები და ოლიგარქები.

„ტას“-ის ცნობით, მაღალჩინოსნებს შორის არიან რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანტონ ვაინო, პუტინის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი და პრესმდივანი, დიმიტრი პესკოვი. ამავე სააგენტოს ცნობით, ჩამონათვალში მოხვდნენ მსხვილი კომპანიების ხელმძღვანელებიც, მათ შორის, „ინტერ რაო“-ს და „გაზპრომ“-ის ხელმძღვანელები, ბორის კოვალჩუკი და ალექსეი მილერი. რამდენიმე ათეულ ოლიგარქს შორის დასახელებულნი არიან ალიშერ უსმანოვი და რომან აბრამოვიჩი. დოკუმენტში ჩამოთვლილ პირებს ამ დრომდე არ შეხებიათ უკრაინის აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქტის გამო აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციები.

სააგენტო „ბლუმბერგი“ აღნიშნავს, რომ ამ პირებს ავტომატურად არ შეეხება სანქციებით გათვალისწინებული ზომები, მათ შორის აშშ-ში აქტივების გაყინვა და ვიზის გაცემაზე უარი, თუმცა, ფინანსთა სამინისტროს ნუსხაში მათი შეტანა შესაძლოა, გახდეს იმის საფუძველი, რომ ამერიკულმა და ევროპულმა კომერციულმა და სხვა ორგანიზაციებმა უარი თქვან მათთან საქმიან ურთიერთობებზე. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2017 წლის 2 აგვისტოს მოაწერა ხელი კანონს სანქციების შესახებ და აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს 180 დღე მისცა იმისთვის, რომ ეროვნული სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელთან და სახელმწიფო მდივანთან თანამშრომლობით მოემზადებინა და კონგრესისთვის წარედგინა მოხსენება რუსეთის ხელისუფლებისა და ბიზნესის კავშირების შესახებ. რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა 29 იანვარს, დოკუმენტის გამოქვეყნებამდე განაცხადა, რომ აშშ ცდილობს, გავლენა მოახდინოს რუსეთში 18 მარტს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

# ახალგარემონტებული მეტროსადგურის ჭერი ხუთ თვეში ჩამოინგრა

(პირველი გვერდიდან)

კალაძის განცხადებით, გადამოწმდება, მეტროსადგური „ახმეტელი“, რომლის განახლების სამუშაოებიც მეტრო „ვარკეთილის“ მსგავსად, სატრანსპორტო კომპანიამ განახორციელა. თბილისის მერი თავდაპირველად, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ იმყოფებოდა, სადაც მეტროს ქვედა მოსაცდელში დაკიდული ჭერის კონსტრუქცია ჩამოიშალა და 14 ადამიანი დაშავდა. კახა კალაძის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტს შესაბამისი სამსახურების მხრიდან მკაცრი რეაგირება მოჰყვება.

თბილისის მერმა კახა კალაძემ მეტროსადგურ „ვარკეთილში“ დაშავებული მოქალაქეები მოინახულა, რომლებიც თბილისის სხვადასხვა კლინიკებში არიან მოთავსებული. მათი მკურნალობის ხარჯებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და თბილისის მერია დაფარავს. დაზარალებულები მოინახულა ჯანდაცვის მინისტრმაც. მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტებს მსუბუქი და საშუალო ხასიათის დაზიანებები აღენიშნებათ, მაინც მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ.

**„არ არის გამორიცხული, ერთ-ერთმა მათგანმა კლინიკა დატოვოს დღეს, დანარჩენები კი ხვალამდე დარჩებიან სამედიცინო დაწესებულებაში. რაც შეეხება სხვა დაშავებულებს, მათაც მოვინახულებ და მოგახსენებთ“,** — განაცხადა სერგეენკომ.



* * *

**თბილისის ყოფილი მერის დავით ნარმანიას განცხადებით, კომპანია, რომელმაც მეტროსადგურ „ვარკეთილის“ სარემონტო სამუშაოები ჩაატარა, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კონტრაქტორი იყო.**

როგორც ნარმანიამ განმარტა, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, კონკრეტულად რა ხარვეზმა გამოიწვია აღნიშნული ინციდენტი.

შეკითხვაზე, აკმაყოფილებდა თუ არა კომპანია სატენდერო პირობებს, ნარმანია პასუხობს, რომ იმ შემთხვევაში თუ ის სატენდერო პირობებს ვერ დააკმაყოფილებდა, სამუშაოებს მას არ შეასრულებინებდნენ.

* * *

**კომპანია „ყვარელრემშენი“, რომელმაც „ვარკეთილის“ მეტროს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა 1999 წელს არის დაფუძნებული და მისი 100 % წილის მფლობელი და დამფუძნებელი გიორგი ჯოხარიძეა.** კომპანიას წლების მანძილზე არაერთ ტენდერში აქვს მონაწილება მიღებული და მოგებული. არის შემთხვევები, როდესაც ტექნიკური დოკუმენტაციის გამო ტენდერიდან დისკვალიფიცერებულია. კომპანია ამჟამად მონაწილელეობას იღებს განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც თბილისის 164-ე საშუალო სკოლის რეაბილიტაციას ეხება. კომპანიამ გასულ წელს სარემონტო სამუშოები ჩაუტარა სოფლების გავაზის და ჭიკაანის საბავშო ბაღებს და ჩანტლისყურის საჯარო სკოლას.

„ყვარელრემშენს“ მოგებული აქვს ყვარლის კულტურის სახლის და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ტენდერი. ასევე იუსტიციის სასწავლო ცენტრის ღობის და აუზის რეაბილიტაციის ტენდერი. კომპანია 2017 წელს დისკვალიფიცირებული იქნა ტექნიკური დოკუმენტაციის გაუმართაობის გამო სოხუმის სახელმწიფო უნივეტსიტეტიც ცენტრალური გათბობის სისტების მონტაჟის ტენდერიდან და ასევე გარემოს დაცვისა დ ბუნებრივი რესურსების ავტოფარეხის მზიდი კონსტრუქციის ტენდერიდან.



# კორუფცია მედიაში უკვე ჩვეულებრივი საქმე გახდა...

## პარტია „რუსთავი-2“-ის მოურჩენელი სატკივარი

**სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე არ გამორიცხავს, რომ „რადიო თავისუფლების“ გარშემო მიმდინარე პროცესების უკან კორუფციის ნიშნები იკვეთებოდეს. კერძოდ, „რადიო თავისუფლების“ თანამფლობელები გარიგებაში იყვნენ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან. ასევე, მისი თქმით, შესაძლოა, ეს იყოს დირექტივა, რომელიც თანამფლობელების მიერ მუშავდება. კერძოდ, შიდა პოლიტიკურ პროცესებში გარკვეულ მხარეს დაუჭირონ მხარი.**

**რა პროცესები ვითარდება „რადიო თავისუფლების“ გარშემო, ამ საკითხებთან დაკავშირებით ვალერიან გორგილაძე გვესაუბრება.**

**— თვალს ვადევნებთ პროცესებს, რომელიც ახლა „რადიო თავისუფლების“ გარშემო ვითარდება. სათავო ოფისის მენეჯმენტი ქართულ სამსახურს „რუსთავის-2“-თან თანამშრომლობას აძალებს და სამსახურის დირექტორის დავით კაკაბაძის სამსახურიდან დათხოვნას ცდილობს. „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტები „რუსთავი-2“-თან თანამშრომლობას ეწინააღმდეგებიან იმ არგუმენტით, რომ არხი „ნაციონალური მოძრაობის“ და ექს-პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გავლენის ქვეშ მყოფი ტელევიზიაა. რამდენად სამართლიანია ქართული სამსახურის პროტესტი?**

— ის, რომ „რუსთავი-2“ პარტიული ტელევიზიაა, საყოველთაოდ ცნობილია. ათწლეულია, ეს ტელევიზია პარტიულ დირექტივებს ახორციელებს, პარტიულ იდეოლოგიურ სამუშაოს ასრულებს საინფორმაციო ველზე. არ ვიცი, თუ ვინმეს ილუზია გააჩნდა იმასთან დაკავშირებით, რომ „რუსთავი-2“ ობიექტურ მედიას წარმოადგენდა, გაუქარწყლდა ეს ილუზია.

რაც შეეხება შექმნილ ვითარებას, აქ პრობლემის სამი დონეა. პირველი პრობლემა არის გლობალური. საერთოდ რას წარმოადგენს დღეს თანამედროვე მედია? მაგალითად, დონალდ ტრამპის უპრეცედენტო დაპირისპირება მედიასაშუალებების წინააღმდეგ – წლის დასაწყისში თეთრმა სახლმა დააწესა ნომინაცია ფეიქ-ნიუსის გამავრცელებელი მედიასაშუალებებისათვის. „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „სი-ენ-ენი“ და სხვა გავლენიანი და რეიტინგული საშუალებები მოხვდნენ, თეთრის სახლის მიერ შედგენილ ნომინანტთა სიაში. ყალბი სიახლეების გავრცელებისათვის ყველამ მიიღო გარკვეული „ჯილდო“. ჩვენ ვხედვათ, რომ ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც მედია კარგავს იმ კლასიკურ ფუნქციას, რაც მას ევალებოდა – მოსახლეობის ინფორმირებულობა და ფაქტებით მომარაგება.

**— ანუ, ამ თვალსაზრისით მოხდა გლობალური ტრანსფორმაცია?**

— რა თქმა უნდა, მედია სულ უფრო და უფრო ირჩევს გარკვეულ მხარეს, იდეოლოგიურს, ღირებულებითს, პოლიტიკურს. მხოლოდ გარკვეული ჯგუფების, ან ჯგუფთა გაერთიანების ინტერესებს ემსახურება. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური ორგანიზაცია, ბიზნესჯგუფი და ა.შ. არ ვამბობ, რომ ეს არის ცუდი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ არ შეიძლება ერთი მედიასაშუალება იყოს ობიექტური, ვინაიდან მედიასაშუალების უკან დგას გარკვეული ჯგუფი, რომელიც ფლობს ამ მედიასაშუალებას. ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო, შეიძლება იყოს გარკვეული ბიზნეს ან პოლიტიკური დაჯგუფება. ამდენად, გამოირიცხება რაიმე ტიპის ობიექტურობა. უბრალოდ, მოსახლეობას, ჩვეულებრივ ადამიანს უწევს შედარება, სხვადასხვა დღის წესრიგის, რომელსაც სთავაზობს ესა თუ ის მედიასაშუალება და ამ უამრავი წყაროდან უწევს მიმდინარე პროცესების შესახებ თავისი სურათის შექმნა. ამდენად, ეს არის პირველი პრობლემა.

რაც შეეხება მეორე პრობლემას – „რადიო თავისუფლების“ მიმართ ასეთი პრეტენზიები პირველად არ გაჟღერებულა. შეგახსენებთ, რომ ბაბიცკის რედაქციით დაიწყო ეს ყველაფერი, როდესაც ბაბიცკი არ დაეთანხმა პროცესების გარკვეული ტიპის გაშუქებას და ის იძულებული იყო, დაეტოვებინა რედაქცია. მანამდეც იყო ეს პრობლემები. 2012 წელს „რადიო თავისუფლების“ რუსულ რედაქციაში მოხდა ძველი რედაქციის ფაქტობრივი დაშლა. პრობლემები არის თურქეთის, ირანისა და ჩინეთის რედაქციებთან მიმართებაში. ანუ, ქართული ბიურო არ არის ცალკე მოვლენა. აქ უკვე ჩნდება მესამე პროცესი – მედია დიდი ხანია, გეოპოლიტიკური დაპირისპირების იარაღია.

**— ამ ვითარებაში გლობალური პროცესი რას გვთავაზობს?**

— გვთავაზობს იმას, რომ ეს უფრო და უფრო ემსგავსება იდეოლოგიურ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ხდება გარკვეული განწყობების დანერგვა. არც ის უნდა გამოვრიცხოთ და ამასთან დაკავშირებითაც აცხადებს დონალდ ტრამპი და არც თუ ისე უსაფუძვლოდ მეჩვენება ის ბრალდებები, რასაც მედიის მისამართით ავრცელებს. კორუფცია მედიაში, ეს უკვე ჩვეულებრივი საქმე გახდა.

**ეს ორი სუბიექტი – „ნაციონალური მოძრაობა“ და „რუსთავი-2“ დიდად არის დამოკიდებული დასავლეთზე და დასავლეთის იმ მხარდაჭერაზე, რომელიც გარკვეული ჯგუფებისგან ჯერ კიდევ გააჩნიათ. აბსოლუტურად ცხადია – რომ არა დასავლეთის გარკვეული წრეების მხარდაჭერა, „რუსთავი-2“ ამ სახით ვერ გააგრძელებდა არსებობას.**

**ის, რომ „რუსთავი-2“-თან მიმართებაში არ აღსრულდა ობიექტური პროცესი, მხოლოდ ეს არის დასავლეთის გარკვეული წრეების მხარდაჭერის შედეგი და ეს ყველასთვის ცხადია. ამდენად, არა მგონია, რომ პირიქით ხდებოდეს.**



**— ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც შესაძლებელია კორუფციასთან გვქონდეს საქმე?**

— არ არის გამორიცხული, რომ ამ მედიასაშუალების თანამფლობელები გარიგებაში შედიან გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან. თავისუფლად შეიძლება, რომ ეს იყოს კორუფცია. შეიძლება იყოს დირექტივა, რომელიც თანამფლობელების მიერ მუშავდება. კერძოდ, შიდა პოლიტიკურ პროცესებში გარკვეულ მხარეს დაუჭირონ მხარი.

„რუსთავი-2“-თან მიმართებაში არც ერთის და არც მეორის გამორიცხვა არ შემიძლია. სადისტური „60 წუთის“ წამყვანი აკაკი გოგიჩაიშვილი, რომელიც ასოცირდება „რუსთავი-2“-თან, უკვე ალაპარაკდა ზეწოლაზე. ამბობს, რომ ჟურნალისტები წლებია, განიცდიან ზეწოლას. აშკარად და ღიად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ არხზე ამ გაუსაძლის მდგომარეობას ქმნიდა ნიკა გვარამია.

**— ეს გოგიჩაიშვილის აღიარების გარეშეც ცნობილი ფაქტი იყო...**

— რა თქმა უნდა. ჩვენ ეს ვიცოდით იმ ჟურნალისტებისგან, რომლებიც წამოვიდნენ „რუსთავი-2“-დან და სხვადასხვა მედია საშუალებებში არიან მოკალათებულები. სწორედ მათგან გვესმოდა მოწოდებები – ხელები შორს „რუსთავი-2“-სგან, რომ ეს არის დამოუკიდებელი არხი, დემოკრატიის ერთადერთი შუქურა და ა.შ. ახლა კი გვარამია გაიძახის, „რუსთავი-2“ ქვეყნის მთავარი არხიაო! რა სასაცილოა ყოველივე ეს, სატირალი რომ არ იყოს! ყველაფერი თავის ადგილას დგება. ასე ხდება, როდესაც საქმე კერძო ინტერესებს შეეხება ხოლმე.

გოგიჩაიშვილისთვის რომ არ დაეხურათ ის გადაცემა, გააგრძელებდა მუშაობას და ვერ გავიგებდით კრიტიკულ მოსაზრებას იმ გაუსაძლის სარედაქციო პოლიტიკაზე, რომელსაც დირექტორი გვარამია ატარებს, რომელსაც გოგიჩაიშვილის აზრით, ვერ გაურკვევია, მედიასაშუალების დირექტორია, პროკურორია, გურმანია, მელომანია, პოლიტიკოსია, ჟურნალისტია, თუ მაყურებლისთვის ჯოჯოხეთის მომწყობი.



ჩვენ წლებია, ამ ცირკს ვუყურებთ, როდესაც გვარამია ხან პოლიტიკური ძალის ადვოკატად გვევლინება, ხან ექს-პრეზიდენტის ქებაშია, ხან ცალკეულ ჟურნალისტებს და წამყვანებს უპირისპირდება, იმიტომ, რომ ისინი ტოვებენ „რუსთავი 2“-ს. ერთპიროვნულად წყვეტს საინფორმაციო პოლიტიკას, ახდენს საკადრო ცვლილებებს, ცვლის რედაქტორებს, პროდიუსერებს და ა.შ. ეს ხომ მიშისტური დომხალი და ავტორიტარიზმია!... ამდენად, ძალიან ლოგიკურია, ის რაც ახლა ხდება. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ „რუსთავი-2“ ვიწრო პარტიული ინტერესების მატარებელ საინფორმაციო პროპაგანდისტულ არხს წარმოადგენს.

**— როგორ ფიქრობთ, რა პროცესებიც ქართულ ბიუროსთან დაკავშირებით ხდება, ეს არის ამერიკის მთავრობის პოზიცია და ამ პროცესს შეიძლება დაედოს პოლიტიკური სარჩული?**

— არა მგონია, რომ ამერიკის ხელისუფლების პოზიცია იყოს. ეჭვი მეპარება ტრამპის ადმინისტრაცია რაღაცა საინფორმაციო დღის წესრიგს ამუშავებდეს და მათ შორის ამ ევროპულ ბიუროსთან მიმართებაში. ტრამპი ჯერ კიდევ სრულად ვერ ეუფლება ძალაუფლებას და ეს არის პარადოქსი. სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც აფინანსებს „რადიო თავისუფლებას“, „ამერიკის ხმას“ და სხვა მედიასაშუალებებს, დღემდე არ არის დაკომპლექტებული შესაბამისი საკადრო რესურსით. იქ საკმაოდ მაღალია ვაკანსიების მაჩვენებელი.

ესენი არიან ის მედიასაშუალებები, რომლებიც წლების განმავლობაში დემოკრატების გავლენის ქვეშ იყვნენ. ამდენად, ნამდვილად არ მჯერა, რომ ეს არის სახელისუფლებო პოზიცია, ვინაიდან, ჯერ არც ამის შესაძლებლობა აქვს და, მართალი გითხრათ, საერთოდ არ არის ეს ტრამპის ინტერესი. ტრამპი დისტანცირდება ამ ტიპის აქტივობებისგან.

**— თუ არა ხელისუფლების პოზიცია, მაშინ რა ჯგუფის ინტერესში შედის „რუსთვი-2“-ისა და „რადიო თავისუფლების“ თანამშრომლობა?**

— ვფიქრობ, აქ, უფრო იმ ჯუფების ინტერესია, რომლებიც წლების განმავლობაში მართავენ „რადიო თავისუფლებას“. არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ ჯგუფების მეშვეობით ხდება გარკვეული გარიგებები. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, რომ ამ ყველაფერს შეიძლება პოლიტიკური კორუფციის ნიშნები გააჩნდეს. ყველაზე ნაკლებად ვვარაუდობ და, პრაქტიკულად, გამოვრიცხავ იმას, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ახდენს გავლენას ამ ტიპის პოლიტიკაზე.

**— თუ გავითვალისწინებთ „ნაციონალური მოძრაობის“ ფსიქოლოგიას და მოქმედების სტილს, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე გვქონდეს შანტაჟთან, მით უფრო თუ გამოვრიცხავთ მთავრობის ინტერესებს?**

— არა მგონია, რომ ასე იყოს საქმე. უბრალოდ, ამის შესაძლებლობა მათ არ ექნებათ. ეს ორი სუბიექტი – „ნაციონალური მოძრაობა“ და „რუსთავი-2“ დიდად არის დამოკიდებული დასავლეთზე და დასავლეთის იმ მხარდაჭერაზე, რომელიც გარკვეული ჯგუფებისგან ჯერ კიდევ გააჩნიათ. აბსოლუტურად ცხადია – რომ არა დასავლეთის გარკვეული წრეების მხარდაჭერა, „რუსთავი-2“ ამ სახით ვერ გააგრძელებდა არსებობას.

ის, რომ „რუსთავი-2“-თან მიმართებაში არ აღსრულდა ობიექტური პროცესი, მხოლოდ ეს არის დასავლეთის გარკვეული წრეების მხარდაჭერის შედეგი და ეს ყველასთვის ცხადია. ამდენად, არა მგონია, რომ პირიქით ხდებოდეს. იმის გათვალისწინებით „რუსთავი-2“-ს და „ნაცმოძრაობას“ ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვთ დასავლურ ფონდებთან და სხვადასხვა ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ ჯგუფებთან და მათ შორის ჩამოყალიბდა რაღაცა ტიპის თანამშრომლობა, ერთიანი ინტერესები.

**— ეს ინტერესი გამორიცხავს კორუფციას?**

— არა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს ინტერესი არ გამორიცხავს კორუფციასაც. ეს ხდებოდა არა მხოლოდ მედიასაშუალებების დონეზე, არამედ ეს ხდებოდა ცალკეულ ჩინოვნიკებთან ურთიერთობაშიც. ამდენად, რაღაცა ტიპის რღვევა ხდება და აქაც არის გლობალური კონტექსტი. მთავარი, რაც დღეს ახასიათებს მსოფლიოს და ეს ვლინდება ეკონომიკაში, გეოპოლიტიკაში და მედიაში, იცვლება სტანდარტები, იცვლება დამოკიდიდებულება-განწყობები ელიტების მიმართ.

ამდენად, ყველაფერი რღვევის სტადიაშია. არაფერი არ არის სტაბილური. არავინ იცის, რა მოხდება ერთი, ორი, სამი წლის შემდეგ, მით უფრო რთულია გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთება. ამდენად, ეს ტრადიციული კავშირები, მათ შორის კორუფციული კავშირები, სრულდება. ახალი ტალღა შემოდის პოლიტიკაში, ეკონომიკაში და სწორედ ამ ახალ ტალღაზე არის დამოკიდებული, რას მივიღებთ რამდენიმე წლის შემდეგ.

**ესაუბრა**
**თამარ ქარჩაიძე**



## დავით ზარდიაშვილი:

# ცხადია, კვირიკაშვილს ეს არ მოეწონებოდა!

**ანალიტიკოსის, დავით ზარდიაშვილის შეფასებით, იმ შემთხვევაში, თუ მომავალი, მეხუთე პრეზიდენტი არასასურველ პოლიტიკურ დატვირთვას შეიძენს, რომელსაც თავისი პოლიტიკური ინტერესები ექნება, შეიძლება განმეორდეს იგივე, რაც მარგველაშვილის შემთხვევაში. ზარდიაშვილის შეფასებით, პრეზიდენტობის შანსი აქვს ალექსანდე ელისაშვილს და, ასევე ირაკლი ალასანიას იმ შემთხვევაში თუ დამოუკიდებელ კანდიდატად შემოვლენ ქართულ პოლიტიკაში.**

**დღეს დავით ზარდიაშვილი გვესაუბრება.**

**— 2018 წელი მნიშვნელოვანია იმით, რომ ქვეყანა განსხვავებული სტილის პრეზიდენტს ირჩევს. ამის მიუხედავად წინასაარჩევნო დაპირისპირება დაწყებულია პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, მთავრობასა და პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის. როგორ ფიქრობთ, კანდიდატებს რატომ უჭირთ აღიარება, რომ 2018 წელის არჩევნებზე სისტემურად იცვლება ყველაფერი?**

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მედიასაც ყურადღების მიღმა აქვს დატოვებული, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მთავარი არა პრეზიდენტობის კანდიდატია, არამედ ის, რომ სისტემურად იცვლება ყველაფერი. საპრეზიდენტო არჩევნების მერე ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. ე.ი. ახალი კონსტიტუციის პირობებში 2018 წელს არჩეული პრეზიდენტი აღარ არის ისეთი მნიშვნელოვანი მმართველობითი სისტემისთვის, როგორც აქამდე იყო. დღეს გიორგი მარგველაშვილს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფუნქციები და გარკვეული მმართველობითი პრეროგატივები აქვს. ახალ პრეზიდენტს ეს ფუნქცია არ ექნება.

**— მაგრამ ამის აღქმა უჭირთ პოლიტიკოსებს...**

— რა თქმა უნდა, პოლიტიკური ძალებისთვის მნიშვნელოვანია, ვინ იქნება პრეზიდენტი, მაგრამ ეს უფრო პრესტიჟის საქმეა, ვიდრე რეალური ძალაუფლების. ასე უნდა შეხედონ საკითხს. პრეზიდენტად ისეთი კანდიდატი უნდა იქნეს შერჩეული, რომელსაც ავტორიტეტიც ექნება, ასევე პრესტიჟი როგორც წარმომადგენლობით ფიგურას და არა როგორც მოქმედ პოლიტიკოსს, რომელსაც რეალური ძალაუფლება და რეალური მმართველობითი ბერკეტები აქვს, ეს არის ძალიან არსებითი. სხვადასხვა კანდიდატურის განხილვა მიდის, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ცვლილების ეს ხასიათი ნაკლებად არის აღქმული.

**— გიორგი კვირიკაშვილი და დავით სერგეენკო — ამ დრომდე მმართველი გუნდის გარშემო ეს ორი კანდიდატი განიხილება თუმცა, ორივემ უარყო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა...**

— რა თქმა უნდა, გიორგი კვირიკაშვილი უარყოფდა. ის არის მოქმედი პოლიტიკოსი, „ქართული ოცნების" ლიდერია და მისი ისეთ ადგილას გამწესება, ნიშნავს, რომ, პრაქტიკულად, რეალური პოლიტიკიდან უნდა იქნეს ჩამოშორებული. ცხადია, კვირიკაშვილს ეს არ მოეწონებოდა, უარყოფდა. ვინ რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი. მაგრამ მედიამაც და საზოგადოებაც მთავარი აქცენტი ამაზე უნდა გააკეთოს, რომ სისტემურად იცვლება ქვეყანა. საპრეზიდენტო არჩევნები მნიშვნელოვანია არა იმით, რომ პრეზიდენტს ვირჩევთ, არამედ იმით, რომ აბსოლუტურად ახალ განახლებულ მმართველობით სისტემაზე უნდა გადავიდეთ.

**— 2018 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მმართველობის ახალ ეტაპზე გადავდივართ, მაგრამ მაგალითად თუ ავიღებთ თვითმმართველობის არჩევნებს, დამოუკიდებელი კანდიდატი მეორე ადგილზე გავიდა! როგორ ფიქრობთ, როგორი კანდიდატი უნდა დაასახელოს მმართველმა გუნდმა, რამდენად ძლიერი უნდა იყოს იგი?**

— როცა საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტს პირდაპირ ირჩევენ (ეს იშვიათად ხდება), გაცილებით უფრო გავრცელებული პრაქტიკა არის არაპირდაპირი წესით არჩევნები. მაგრამ პირდაპირი არჩევნები ისეთი სისტემა არის, რომელშიც მოქმედი პოლიტიკოსები ნაკლებად მონაწილეობენ. უფრო პენსიაზე გასული პოლიტიკოსები მონაწილეობენ არჩევნებში, რომლებსაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი საზოგადოებაში.

ეს არის „საპენსიო" თანამდებობა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ადამიანი რომელიც პრეზიდენტად აირჩევა, ის მოქმედი პოლტიკიდან არის ჩამოშორებული, ანუ მას არ აინტერესებს კულუარებში მიმდინარე თამაშები, პოლიტიკური დაპირისპირებები, პარტიული პოლიტიკა. მას არა აქვს ამომრჩევლის წინაშე პირდაპირი ვალდებულება, რომ რაღაც პოლიტიკური პროგრამები გაატაროს და არც შეიძლება ჰქონდეს, ვინაიდან ამის არავითარი ბერკეტი არა აქვს. ის არის ადამიანი, რომელიც მთლიანობაში არსებული პოლიტიკური სისტემის წარმომადგენელია და პასუხს აგებს მის გამართულ საქმიანობაზე, ერთგვარი არბიტრია. პრეზიდენტი ერთგვარი მეთვალყურეა, საზოგადოების თვალი და ყურია, რომ სახელმწიფო სამსახურებმა გამართულად იმუშაოს. პრეზიდენტს იმხელა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს, რომ მისი ერთი სიტყვა საკმარისი იყოს. სამთავრობო გადაწყვეტილებას არ იღებს, კაბინეტს არ აკომპლექტებს, რეალურ პოლიტიკას არ ატარებს, მაგრამ უყურებს სისტემას, სადმე რამე ხარვეზი არ იყოს და ხელისუფლება თავისი სამოქმედო არეალიდან არ გავიდეს. ეს არის მისი მთავარი დანიშნულება.

**— გამოცდილება უნდა ჰქონდეს, წონა, მოქმედი პოლიტიკოსი არ უნდა იყოს, ქართულ სინამდვილეში ასეთი კანდიდატის შერჩევა რამდენად არის შესაძლებელი?**

— კურიოზული ვითარება იქმნება. როცა ასეთი პოლიტიკური კონტექსტია, გნებავთ მმართველ ძალას და გნებავთ ოპოზიციას, გაუჭირდება ზეპარტიული კანდიდატის შერჩევა. რასაკვირველია, ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. შეიძლება „ქართულმა ოცნებამ" თავის რიგებში შეარჩიოს ზეპარტიული პრეზიდენტი? — ლაპარაკია სხვადასხვა კანდიდატებზე და ყველა მათგანი ან მოქმედ პოლიტიკოსს წარმოადგენს, ან ყოფილი პოლიტიკოსია. მოიაზრება, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკას უბრუნდება. ამ დროს კი პრეზიდენტი სულ სხვა შინაარსის მატარებელი არის.

**— როგორი იქნება არაპარტიული კანდიდატების შანსი?**

— რასაკვირველია, მოსახლეობაშიც არ არის აღქმა, რომ ასეთი ტიპის პრეზიდენტი აირჩევა. შეიძლება პოლიტიკურად იმდენად დაძაბული არჩევნები იყოს, რომ იგივე როლი შეასრულოს არაპარტიულმა კანდიდატმა, როგორც ადგილობრივი არჩევნების დროს. ანუ, ეს იყოს ერთგვარი პროტესტი ამ პარტიული წარმომადგენლობითი ისტებლიშმენტის მიმართ. მე ვვარაუდობ, რომ არაპარტიულმა კანდიდატმა შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიოს.

**— ერთია, რამდენად ენდობა ხელისუფლე-**



**ბა NDI-ის კვლევას, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო მოსახლეობის რიცხვი იზრდება. პრინციპში ეს NDI-ის კვლევის გარეშეც ცხადია. აქედან გამომდინარე, ალბათ, ხელისუფლებას სჭირდება ძლიერი კანდიდატი, რომ გაბრაზებული მოსახლეობის ხმები არ წავიდეს კონკრეტული ოპოზიციური ძალების სასარგებლოდ, ან თუნდაც დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ, მით უფრო საუბარია, რომ ქართულ პოლიტიკაში ბრუნდება ირაკლი ალასანია როგორც დამოუკიდებელი ფიგურა?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ჩვენ ისეთ ადამიანს ავირჩევთ პრეზიდენტად, რომელსაც პოლიტიკური და პარტიული ინტერესები აქვს, ეს თავისთავად პრობლემა იქნება. პოლიტიკა რა არის? — ხელისუფლებაში მოსვლის მექანიზმი. ასეთი კანდიდატი სისტემას გაჭედავს. იმიტომ, რომ ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი ასეთად არ მოიაზრება. მარგველაშვილიც ეს შემთხვევა არის. ცდილობს პოლიტიკაზე რეალური ბერკეტების მოპოვებას, მაგრამ ცხადია, რომ ეს არ გამოსდის. ძალიან რთულია ამის გაკეთება, მაგრამ სისტემური თვალსაზრისით ქმნის პრობლემას.

**— არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ არაპარტიულმა კანდიდატმა მოიგოს არჩევნები? მოსახლეობამ უკვე აჩვენა, რომ მას არ უნდა პარტიული პოლიტიკოსი, არჩევანს აკეთებს უპარტიო კანდიდატზე, ამ შემთხვევაში საუბარია ორ დამოკიდებელ კანდიდატზე — ირაკლი ალასანიასა და ალეკო ელისაშვილზე...**

— არ ვიცი, ირაკლი ალასანია დაუბრუნდება თუ არა პარტიულ პოლიტიკას. თუ კავშირი არ ექნება „თავისუფალ დემოკრატებთან", ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, მისი განხილვა პრეზიდენტობის კანდიდატად. მაგრამ „ქართული ოცნებისთვის" ყველაზე უფრო მისაღებ კანდიდატად, ზეპარტიული ფიგურის თვალსაზრისით, რომელიც მაინც „ოცნების" ორბიტაზე არის, ეს არის სალომე ზურაბიშვილი.

თითქოსდა პირდაპირ „ქართულ ოცნებასთან" არ ასოცირდება, დისტანცირებულია, მაგრამ მმართველი ძალა მას მხარს უჭერს. ჩემთვის ასეთი ფიგურა უფრო არის მისაღები. თუ „ქართული ოცნება" პარტიულ ამბიციას დაძლევს და ასეთ კანდიდატს შემოგვთავაზებს, ეს იქნება კარგი შანსი მმართველი გუნდისთვის. ასეთი განწყობით უნდა შეხედოს მმართველმა პარტიამ ამ არჩევნებს.

**— ზურაბიშვილს რა შანსები აქვს როგორც დამოუკიდებელ ფიგურას?**

— იმ შემთხვევაში, თუკი „ქართული ოცნება" დაასახელებს როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს, რასაკვირველია, აქვს შანსი.

**— მმართველი პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის გარეშე შანსი არა აქვს?**

— არა, რასაკვირველია, არა აქვს შანსი. ვნახოთ რა იქნება. მთავარი ამოცანაა, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს მოქმედი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც ჩაერევა პოლიტიკურ ძალთა ურთიერთობაში.

**— რამდენად ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვის მხარეს დაიჭერს მოქმედი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და საერთოდ, როგორ არჩევანს გააკეთებს ის?**

— ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ მარგველაშვილი დაასახელებს თავის კანდიდატურას. ასე ვფიქრობ, შეიძლება ვცდები.

**— შანსები არა აქვს?**

— ძალიან ცოტა, მარგველაშვილს არა აქვს შანსები, იმიტომ, რომ ჩამოყალიბებული არ არის. ფიქრობს, შექმნას თუ არა თავისი პოლიტიკური ძალა, მაგრამ საბოლოოდ ესეც ვერ გადაუწყვეტია. ცდილობს, ერთგვარი მიზიდულობის ცენტრი იყოს ლიბერალური ბანაკისთვის, მაგრამ მთლად ესეც არ გამოსდის. ცდილობს, პოლიტიკაში ჩაერიოს და არც ეს გამოუვიდა. მოკლედ, ასეთ გადაუწყვეტელ მდგომარეობაშია. შეიძლება მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ, როგორც წესი, ასეთ სიტუაციაში გაურკვეველი კანდიდატები შედეგს ვერ იღებენ.

**ესაუბრა**

**თამთა ქარჩავა**

# 200-მდე მეხანძრე-მაშველი კადრების განყოფილებაშია გადაყვანილი?

**გიორგი მღებრიშვილი ახალ თანამდებობაზე მუშაობას საკადრო წმენდით იწყებს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 200-მდე მეხანძრე-მაშველი კადრების განყოფილების განკარგულებაშია გადაყვანილი. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სამსახურიდან არიან დათხოვნილი ის თანამშრომლებიც, რომლებიც სისტემაში წლების განმავლობაში მუშაობდნენ.**



საკადრო წმენდას სახანძრო სამსახურში უკვე ემსხვერპლა რამდენიმე ხელმძღვანელი, სამსახურეობრივ მოვალეობას აღარ ასრულებენ რიგითი მეხანძრემაშველებიც. ადამიანების ნაწილი გაუშვეს, უფრო დიდი ნაწილი კი კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს, მათი მომავალი საქმიანობა ბუნდოვანია. კადრების განკარგულებაში იმყოფება საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უკვე ყოფილი მოადგილე დავით გელაშვილიც. ცვლილებები სახანძრო-სამაშველო სამსახურის მხოლოდ ცენტრალურ აპარატს და თბილისს არ შეხებია. „რუსთავი-2"-ის გადაცემა „კურიერის" ინფორმაციით, ამ დროისთვის კადრების განყოფილებაშია გადაყვანილი ყველა რაიონის სამაშველოს უფროსი.

**საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში, თანამშრომლების, მათ შორის რიგითი მეხანძრე-მაშველების გაშვების შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ.**

# SOS: დანაშაული დანაშაულებრივად მატულობს!

შსს-მ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა გამოაქვეყნა. უწყების ინფორმაციით, სტატისტიკა ორი წლის შემდეგ, პირველად ქვეყნდება:

„2017 წელს სულ რეგისტრირებულია 37 944 დანაშაული, რომელთა 53.2% გახსნილია. 2016 წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი გაზრდილია 5.4%-ით. 2016 წლის გახსნის მაჩვენებელი 57.4%-ია.

ქვეყანაში 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 64.5% წარმოადგენს ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ასევე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ და ნარკოტიკულ დანაშაულებს.




გასულ წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაულის ზრდის ტენდენცია, ძირითადად, მოდის შემდეგ დანაშაულებზე:

- დანაშაული **სიცოცხლის წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 108-116-ე მუხლები) — 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.7% (ამ სახის რეგისტრირებული დანაშაულის ზრდა 2016 წელთან შედარებით — 11.9%-ით);
- დანაშაული **ჯანმრთელობის წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 117-126 პრიმა მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 14.1% (ზრდა 2016 წელთან შედარებით — 14.8%-ით);
- დანაშაული **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 142-170-ე მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.2% (ზრდა 2016 წელთან შედარებით — 23.2%-ით);
- დანაშაული **საკუთრების წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 177-189-ე მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 37.9% (ზრდა 2016 წელთან შედარებით — 8.1%-ით);
- დანაშაული **გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 287-306-ე მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.3% (ზრდა 2016 წელთან შედარებით — 127.8%-ით);
- დანაშაული **მმართველობის წესის წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 343-363-ე მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 6.4% (ზრდა 2016 წელთან შედარებით — 17.5%-ით);
- დანაშაული **სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 377-381პრიმა-2 მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 2.5% (ზრდა 2016 წელთან შედარებით — 20.5%-ით).

რაც შეეხება რეგისტრირებული დანაშაულის კლების ტენდენციას, ის, ძირითადად, მოდის შემდეგ დანაშაულებზე:

- დანაშაული **საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ** (საქართველოს სსკ-ს 222-239-ე მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 4.1% (კლება 2016 წელთან შედარებით — 19.5%-ით);
- ნარკოტიკული დანაშაული (საქართველოს სსკ-ს 260-274-ე მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 12.5% (კლება 2016 წელთან შედარებით — 8.3%-ით);
- **სატრანსპორტო დანაშაული** (საქართველოს სსკ-ს 275-283-ე მუხლები) — სულ 2017 წელს რეგისტრირებული დანაშაულის 6.9% (კლება 2016 წელთან შედარებით —16.4%-ით).

რაც შეეხება ტენდენციებს ცალკეული მუხლების მიხედვით:

- **სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების** ძირითადი წილი არის საქართველოს სსკ-ს 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტების უმრავლესობა არ წარმოადგენს თვითმკვლელობამდე მიყვანის კლასიკურ შემთხვევას. სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გამოძიება იწყება მაშინაც, როდესაც არ არის ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენელი ყველა ნიშანი (მსხვერპლისადმი მუქარა, სასტიკი მოპყრობა ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირება), მაგრამ სახეზეა გარდაცვლილი ძალადობის ნიშნების გარეშე. ამგვარ საქმეებზე, ხშირ შემთხვევაში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ, დგინდება, რომ გვაქვს არა დანაშაული, არამედ ბუნებრივი სიკვდილი ან სუიციდი.
- **ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული რეგისტრირებული დანაშაულის** დიდი ნაწილი არის 126-პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედება (ოჯახში ძალადობა). ამ მუხლით რეგისტრირებული დანაშაულის ზრდა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მასობრივი კამპანიით, რამაც გაზარდა სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ადრე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებით, ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების პარალელურად, უმეტეს შემთხვევაში, იწყება გამოძიება.
- **ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის** ნაწილი არის საქართველოს სსკ-ს 151-ე მუხლით (მუქარა), კერძოდ, 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გაზრდილია 61.7%-ით. მუქარის ფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახური კონფლიქტის საფუძველზეა განხორციელებული. გაზრდილია როგორც დაზარალებულთა, ასევე, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მქონე პირთა (ახლობლები, ნათესავები, მეზობლები) მხრიდან სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი. ამასთან, სამართალდამცავი სტრუქტურების შესაბამისი დანაყოფების მხრიდან, ოჯახური კონფლიქტის საფუძველზე მუქარის თითოეულ ფაქტზე მოსალოდნელი მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება მაშინაც კი, როდესაც არ არის დანაშაულის შემადგენელი ყველა ნიშანი.
- **საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის** მხრივ მომატებულია უმეტესად საქართველოს სსკ-ს 177-ე (ქურდობა), 180-ე (თაღლითობა) და 181-ე (გამოძალვა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. ამასთან, სსკ-ს 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებული დანაშაულის მატების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით არსებული დიდი სავაჭრო ობიექტებიდან (სუპერმარკეტები, ე.წ. მოლები და ა.შ.) წვრილმანი საყოფაცხოვრებო პროდუქტების ფარულად დაუფლების ფაქტების ზრდა.
- რაც შეეხება **საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს,** კლება ფიქსირდება სისხლის სამართლის კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული ყველა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, გარდა 238-პრიმა მუხლისა (ცივი იარაღის ტარება).
- კლების ტენდენციაა **ნარკოტიკულ დანაშაულში** (საქართველოს სსკ-ს 260-274-ე მუხლები). ამასთან, კლება ფიქსირდება ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მუხლზე, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე (273-ე, 273-პრიმა მუხლები).
- **გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა** მატება, ძირითადად, არის საქართველოს სსკ-ს 303-ე (ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა), 299-ე (წიაღით უკანონოდ სარგებლობა) და მე-300 (უკანონო თევზჭერა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.
- **სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის** მხრივ მატება განპირობებულია სსკ-ს 381-ე მუხლით (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა) გათვალისწინებული დანაშაულის ზრდით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ფაქტების უმრავლესობა წარმოადგენს ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების მიერ სასამართლოს იმ გადაწყვეტილების შეუსრულებლობას, რომლითაც მათ მართვის უფლება ჩამოერთვათ.“

ასეთია შეულამაზებელი სტატისტიკა. აშკარაა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს, თითოეულ ზრდასრულ მოქალაქეს, მთელ საზოგადოებას დიდი ძალისხმევა, მართლაც მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირდება, რომ ეს შემზარავი სტატისტიკა შემცირებისკენ წავიდეს...

## ელიავას ბაზრობასთან ხანძარი გაჩნდა



**ელიავას ბაზრობასთან ავტომანქანების საწყობში გუშინ დილის 7 საათზე ცეცხლი გაჩნდა. დამწვარია 200 კვადრატულამდე მეტრის ფართი, საწყობის სახურავი და იქ განთავსებული რამდენიმე ავტომანქანა. ხანძრის ლიკვიდირებას საგანგებო სიტუაციათა სამსახურის რამდენიმე ბრიგადა ცდილობდა. ცეცხლი ლოკალიზებულია.**

## სუიციდი თუ მკვლელობა

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხში სკოლის მოსწავლე გარდაცვლილი იპოვეს. 14 წლამდე ასაკის გოგო, ადგილობრივების ინფორმაციით, ტკივილგამაყუჩებლის დალევის შემდეგ გარდაიცვალა. შსს-ს ცნობით, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.**

## მექრთამეები ჭკუას ვერ სწავლობენ

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ბრალდებით იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მთავარი სპეციალისტი დააკავეს.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ სატენდერო კომისიის აპარატის წევრი იყო, ერთ-ერთ მეწარმეს სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების ხელშეწყობის მიზნით, ქრთამის სახით ჯამში 2 500 ლარი მოსთხოვა. აქედან 1 000 ლარი ბრალდებულმა მეწარმეს წინასწარ გამოართვა.**

## ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი სცემეს

**ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ. უფლებადამცველი ამბობს, რომ მას შელაპარაკება უცნობ პირთან მოუვიდა, რის შემდეგაც მამაკაცი ავტომანქანიდან გადმოვიდა და ზაქარეიშვილს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.**

**მომხდარზე გამოძიება ცემის მუხლით დაიწყო, თუმცა ადვოკატი მომხდარს მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირებს და მუხლის გადაკვალიფიცირებას ითხოვს.**



**„გადმოხტა მანქანიდან და მომაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მემუქრებოდა ფიზიკური ლიკვიდაციით, ფიზიკური ანგარიშსწორებით. დიდი იმედი მაქვს, რომ გადაკვალიფიცირდება ეს 365-ე მუხლის მესამე ნაწილზე,“ — აცხადებს ირაკლი ზაქარეიშვილი.**

# ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი



რუსული ტექსტი ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

## ...მეცნიერებასა და მეცნიერთა შესახებ

**ვიდრე** მათემატიკის კანონები განსაზღვრულნი დარჩებიან, საერთო არცრა ექნებათ რეალობასთან, და როგორც კი რაღაც საერთო გაუჩნდებათ რეალობასთან, ისინი აღარ იქნებიან განსაზღვრულნი.

* * *

**როგორც** ჩანს, შეუქცევი დროის ერთიანი თეორია აღმოცენდება ფარდობითობის თეორიისა და კვანტური მექანიკის გაერთიანებიდან, ახალი ასტროფიზიკიდან, ბიოქიმიიდან და ახალი, დინამიკური თერმოდინამიკიდან.

* * *

**რა** საცოდავი და უმეცარია ფიზიკოს-თეორეტიკოსი ბუნების პირისპირ, აგრეთვე თავისი სტუდენტების პირისპირ!

* * *

**მე** თავად ჩემი ცხოვრების უბედნიერეს დროდ მიმაჩნია ის წლები, როცა ტექნიკურ საპატენტო ბიუროში ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ფულს ჩემი პრაქტიკული სასარგებლო შრომისთვის მიხდიდნენ, ხოლო დანარჩენი დროის დახარჯვა თეორიული აზროვნებისთვის შემეძლო. სპინოზა პურის ფულს სათვალის კეთებით შოულობდა და ეს სულაც არ უშლიდა ხელს იმის ფილოსოფიურ აზროვნებას! კარგია, როცა თეორეტიკოსები მეორე სპეციალობის შეძენას იწყებენ. ასეთი სპეციალობა სავსებით შესაძლებელია, რომ ხარაზობა იყოს.

* * *

**ფიზიკა** იყენებს მათემატიკურ კონცეფციებს, მაგრამ ეს კონცეფციები ფიზიკურ შინაარსს მხოლოდ მაშინ იძენენ, თუ ცდის ობიექტებს ცხადად ეფარდებიან.

* * *

**რაც** უფრო მეტად დაედევნები კვანტებს, მით უფრო უკეთ იჩქმალავენ ისინი თავს.

* * *

**არ** შემიძლია იმის დამტკიცება, რომ სამეცნიერო ჭეშმარიტება ჭეშმარიტებაა, კაცობრიობისგან დამოუკიდებლად სამართლიანი, მაგრამ ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. პითაგორას თეორემა გეომეტრიაში ადგენს რაღაცას, დაახლოებით სწორს, ადამიანის არსებობისგან დამოუკიდებელს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი არის რეალობა, ადამიანისგან დამოუკიდებელი, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს ჭეშმარიტება, რომელიც უპასუხებს ამ რეალობას, პირველის უარყოფას კი, შესაბამისად, მოსდევს უარყოფა უკანასკნელისაც.

* * *

**მთელი** მეცნიერება არცრა არის, თუ არა ყოველდღიური აზროვნების სრულყოფა.

* * *

**მანამდე,** ვიდრე მათემატიკის კანონები განსაზღვრულნი დარჩებიან, იმათ არცრა საერთო არ ექნებათ რეალობასთან. როგორც კი იმათ რაღაც საერთო გაუჩნდებათ რეალობასთან, ისინი განსაზღვრულნი აღარ იქნებიან.

* * *

**ამქვეყნად** არის საგნის მათემატიკურად დაუფლების გასაოცარი შესაძლებლობა, მაგრამ ამასთანავე, ვერც საქმის არსს ჩავწვდებით.

* * *

**ეთიკური** აქსიომები წარმოქმნისა და მოსინჯვის მხრივ ძალიან არ განსხვავდებიან სამეცნიერო აქსიომათაგან. ჭეშმარიტება — იგივე შემოწმებაა ნებისმიერი ცდისთვის.

* * *

**გამომგონებელთა** დიდი კოლექტივის შექმნას არცვის არ ვურჩევდი, რადგან ძნელია ნამდვილი გამომგონებლის განსაზღვრა. ჩემის აზრით, ამ საქმიდან სამუშაოსთვის თავარიდებულ უსაქმურთა საზოგადოებას თუ მივიღებთ.

* * *

**მეცნიერულ** აღმოჩენათა პროცესი სასწაულთაგან მუდმივი გაქცევაა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-19

* * *

**ადამიანისთვის** ხელმისაწვდომ ცდათაგან ყოვლის უფრო მშვენიერი იდუმალების შეცნობაა. ეს უმთავრესი ადამიანური განცდაა, რადგან ის ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მეცნიერების აკვანთან დგას.

* * *

**გასული** საუკუნის მთელ სიგრძეზე ყველგან საყოველთაოდ იყო აღიარებული შეხედულებათა სისტემასა და ცოდნას შორის კონფლიქტის დაუზავებლობა. მეცნიერთა უპირატესი მოსაზრება ის იყო, რაც შეიძლება მეტად შეეცვალა მსოფლმხედველობა ცოდნას დროის შესაბამისად.

* * *

**ჭეშმარიტება** იმაში მდგომარეობს, რომ მრწამსი ყოვლის უკეთესად დაფუძნებულია ცდითა და ნათელი შეგნებით. ოღონდ აღმოჩენა ამა თუ იმ მრწამსის, რაც აგრერიგად აუცილებელია ჩვენი საქციელისა და განსჯისთვის, შეუძლებელია მხოლოდ მეცნიერების მყარ გზასავალზე... სამეცნიერო მეთოდს არცრის სწავლება არ შეუძლია ჩვენთვის, უფრო მეტიც, ფაქტები ეთანაფარდობებიან და განაპირობებენ ერთმანეთს.

* * *

**სულ** სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერნიც კი ისე იქცევიან, თითქოს თავის ტვინი ჰქონდეთ ამოკვეთილი.

* * *

**ჩვენთვის,** ღრმად დარწმუნებულ ფიზიკოსთათვის, სხვაობა წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის, რაღაც ილუზიაა, ოღონდ, სხვა მხრივ, ფრიად აკვიატებული რამ არის.

* * *

**ფიზიკაში** ხან ისეც მომხდარა, რომ ნამდვილი წარმატება მიღწეულია ერთმანეთს შორის — გარეგნულად სულაც კავშირუქონელ მოვლენათა თანამიმდევრული ანალოგიის განხორციელებით.





* * *

**სამეცნიერო** მუშაობის აზრში ჩაწვდომა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი სწრაფვა ჭეშმარიტებისა და გაგების მიმართ. თუმცაღა ამ გრძნობის წყარო სათავეს რელიგიაში იღებს. იქიდანვე იღებს სათავეს იმის შესაძლებლობის რწმენაც, რომ ამ წარმავალი საწუთროს წესები რაციონალური, ანუ მისაწვდომია ადამიანის გონებისთვის. მე ვერც წარმომიდგენია ნამდვილი მეცნიერი ისე, თუ ამის ჭეშმარიტი რწმენა არა აქვს. ესე იგი, ურელიგიო მეცნიერება კოჭლია, ხოლო უმეცნიერებო რელიგია — ბრმაა.

* * *

**მეცნიერებაში** ყოველი იდეა წარმოშობილია როგორც რეალობასა და ადამიანების მიერ ამ რეალობის გაგების ცდათა შორის განუწყვეტელი კონფლიქტით.

* * *

**მეცნიერება** იმის მეცადინეობაშია, რომ ჩვენი გრძნობადი გამოცდილების ქაოსური მრავალფეროვნება სისტემური აზროვნების ლოგიკას შეუთანაფარდოს. ამ სისტემაში ცალკეული ცდები, ალბათ, ისე ორგანულად უნდა შეეთანაფარდოს თეორიულ სტრუქტურას, რომ ეს შეთანხმება იყოს სავსებით დამაჯერებელი და უნიკალური.

* * *

**ყოველივეს** კვინტენსენცია არის იდეათა სამყაროსა და შეგრძნებათა სამყაროს, ანუ გრძნობადი აღქმის თანაფარდობის მუდმივი პრობლემა.

* * *

**თეორიის** შემოწმება შეიძლება ცდით, მაგრამ არ არსებობს გზა ცდის საფუძველზე თეორიის ასაგებად.

* * *

**ახალგაზრდა** მეცნიერს ბევრად უჯობს პური არსობისა უბრალო რამ ხელობით მოიპოვოს, მაგალითად, ხარაზობით. ამ გზით ის თავს დააღწევს „ქვეყნდებოდეს ან დაიღუპოს" ზეგავლენას, რაც ნებისმიერ სიხარულს აცლის შემოქმედებით მუშაობას და მხოლოდ ზედაპირული შედეგების პუბლიკაციამდე მივყავართ.

* * *

**სხეული** და სული ორი სხვადასხვა რამ ვერ იქნება. ამისდა მსგავსად ფიზიკა და ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა მხოლოდ სხვადასხვა ცდებია, რათა სისტემატური აზროვნების საშუალებით ერთად შეკრან ჩვენი ცდის ელემენტები.

* * *

**ფაქტების** მეცნიერული დასაბუთებები, არსებითად, არცრა ეთიკურ დირექტივებს არ შეიცავენ. თუმცაღა შეიძლება, რომ ისინი რაციონალურნი და ცხადნი გავხადოთ ლოგიკური აზროვნებისა და ემპირიული ცოდნის წყალობით. უკეთუ მეცნიერები შეთანხმდებიან ზოგიერთ ფუნდამენტურ ეთიკურ ვარაუდზე, მაშინ დანარჩენები გამოდინდებიან იმათგან იმ შემთხვევაში, უკეთუ ამოსავალი წინაპირობები განცხადებულია განსაზღვრული სიზუსტით. ასეთი ეთიკური წინაპირობები მათემატიკურ აქსიომათა მსგავსია.

* * *

**მეცნიერი** თითქოს მიმოზაა, როცა თავის შეცდომას შეიცნობს და მბრდღვინავი ლომია, როცა სხვის შეცდომას ააშკარავებს.

* * *

**რელიგიური** გრძნობა არსებითად უკეთილშობილესი და უძლიერესია მეცნიერულ კვლევათა მამოძრავებელ ძალთაგან და მხოლოდ ისინი, ვინც შეძლებს საოცარ ძალისხმევათა ღირსეულად შეფასებას, გაიგებენ, თუ რაოდენ ძლიერი რამ არის ეს გრძნობა, რომელიც იმის შემძლეა, რომ ჩვეულებრივი პრაქტიკული ცხოვრებიდან კარგა გვარიანად დაშორებული სამუშაო ჩააყენოს ცხოვრების სამსახურში.

* * *

**კვანტური** მექანიკა ბევრ რასმე გვეუბნება, მაგრამ ვერ გვაახლოებს შემოქმედის საიდუმლოებათა გამოცნობას.

* * *

**მითხარით,** განა საოცრება არ არის, რომ ინსტრუქციათა დადგენის თანამედროვე მეთოდებმა ჯერ კიდევ სრულად ვერ ჩაახშეს კვლევის ჭეშმარიტი ცნობისმოყვარეობა?

* * *

**ერთი** მხოლოდ ჭეშმარიტების ცოდნა არასაკმარისია, რადგან ცოდნა მუდმივად უნდა ახლდებოდეს, თუ გვინდა, რომ არ დავკარგოთ. ეს თითქოს მარმარილოს ალალმაა, უდაბნოში აღმართული, რომელსაც ნიადაგ ემუქრება ქვიშაში ჩამარხვა. ამიტომ იმის გვერდით მუდამ საჭიროა მაგარი ხელები, მზეზე მარმარილოს მბზინვარებას რომ მიეშველებოდნენ და ჩემი ხელებიც აუცილებლივ ამის თანაზიარნი უნდა იყვნენ.

* * *

**საჭიროა** ერთმანეთისგან განვასხვავებდეთ ფიზიკოსსა და ლიტერატორს იმ შემთხვევებში, როცა ამ ორ პროფესიას ემსახურება ერთი პირი. ინგლისში, მაგალითად, არის დიდი ინგლისური ლიტერატურა, აგრეთვე სტილის მაღალი დისციპლინა.

* * *

**არც** ერთი მეცნიერი არ დაიჯერებს, რომ გარე სამყარო წარმოებულია შეგნებისგან, სხვაგვარად ის მეცნიერი ვერ იქნებოდა.

* * *

**ჩემს** ხანგრძლივ ცხოვრებაში მხოლოდ ის ერთი რამ გავიგე, რომ მთელი მეცნიერება რეალურ ცხოვრებასთან შედარებით ძალზე პრიმიტიული და ინფანტილურია, მაგრამ ეს მაინც ყოვლის უფრო ფასეულია, ვიდრე რაც გვაქვს.

* * *

**მეცნიერული** თეორიის მიმართ საზოგადო და საყოველთაო გულისყურმა თამაშისთვის ყურადღება მიაპყრობინა სულიერი მოღვაწეობის უმაღლეს სფეროებს, რასაც შეუძლებელია, რომ თავისთავად არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდეს მთელი კაცობრიობის ზნეობრივი განკურნებისთვის.

* * *

**ექსპერიმენტების** არავითარი რაოდენობით არ შეიძლება თეორიის დამტკიცება, და პირიქით, საკმარისია ერთი ექსპერიმენტი, რომ ის სრულად უარვყოთ.

* * *

**რა** არის თეორია? ეს როცა ყველაფერი გასაგები და ცნობილია, მაგრამ არც არაფერი არ მუშაობს, ხოლო პრაქტიკა — ეს, როცა ყველაფერი კარგად მუშაობს, მაგრამ არცვინ უწყის, რატომ. ჩვენ კი, მეცნიერები, ვცდილობთ თეორიისა და პრაქტიკის გაერთიანებას! და შედეგად არც არაფერი არ მუშაობს, თანაც არავინ არ იცის, რატომ!

* * *

**ფილოსოფიამ,** როგორც დედამ, შობა და ფეხზე დააყენა ყველა დანარჩენი მეცნიერება. ამიტომაც, არ ეგების ფილოსოფიის სიძულვილი სიშიშვლისა და სილატაკისთვის. ის კი არა, უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ იმისი დონკიხოტური იდეალი, თუნდაც მცირე რამ ოდენობით შემორჩება შთამომავლობაში, რათა იგი მეშჩანურ თვითკმაყოფილებას არ მიეცეს.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)



# „მე, მეგობრები და ჰეროინი“



**ბატონო რედაქტორო!**

**ეს გახლავთ რეცენზია ახალგაზრდა სამართლის დოქტორის ნინო ჯიბუტის მიერ გადმოქართულებულ წიგნზე „მე, მეგობრები და ჰეროინი“.**

**წიგნი 80-იანი წლების გერმანიას ეხება, სადაც ახალგაზრდა თაობაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ნარკომანიამ და პროსტიტუციამ, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავს საქართველოში სადღეისოდ არსებულ ვითარებას.**

**წიგნის განხილვამ დიდი ანშლაგით ჩაიარა კულტურის ცენტრ „მუზას“ და საქართველოს მწერალთა ეროვნული შემოქმედებითი კავშირის სხდომათა დარბაზებში.**

**ყველა გამომსვლელი ხაზს უსვამდა ნაწარმოების აქტუალობას და შესრულებული თარგმანის მაღალმხატვრულ დონეს.**

**გამოითქვა აზრი, რომ დროულია, როგორც ეს მაშინდელ გერმანიაში მოხდა და დღესაც გრძელდება, წიგნი შეტანილ იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და, ზოგადად, განათლების სისტემაში, როგორც ერთგვარი „ზარი“ ჩვენი ახალგაზრდობის გადარჩენისთვის, კაცობრიობის უკურნებელი სენისგან.**

**პატივისცემით,**
**ზაურ ნაჭყებია**

**ქრისტიანე ფ. „მე, მეგობრები და ჰეროინი“ (ნინო ჯიბუტის** სადებიუტო თარგმანი)

ეს თარგმანი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ რას ნიშნავს ტექსტის უნივერსალურობა. არანაირი ინფორმაცია წიგნის ავტორზე — ბუნებრივია, ქრისტიანე ფ. არაფერს გვეუბნება, მინიმალურია ინფორმაცია თარგმანის ავტორზეც, მაგრამ ლიტერატურა ნამდვილად არის ის შიფრი, ერთგვარი მხატვრული კოდი, რომელიც გასაგებია ამ ინფორმაციის გარშეც...

ინფორმაციის უნივერსალური წყარო, ამ შემთხვევაში, თავად ტექსტია, კონკრეტული ქრონოტოპოსით — მეოცე საუკუნის 70-იანი წლების გერმანია, როდესაც ბერლინის კედელი ჯერ კიდევ ორ ნაწილად ჰყოფს ქვეყანას, მძიმე სოციალური ფონი სწორედ იმგვარ პრობლემებს აჩენს, რაც ჩვენთვის ასე გასაგები და ახლობელია XXI საუკუნის დასაწყისშიც. ავტორნარატორის მიზანი არ ყოფილა ამ ქრონოტოპოსის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების წარმოჩენა, მაგრამ სინამდვილე, ხშირად, მწერლის ნებართვის გარეშეც, თავისთავად, აღმოჩნდება ტექსტში, განსაკუთრებით კი, ამგვარ ტექსტებში.

ვერაფერს ვიტყვი ორიგინალის მხატვრულ ღირსებებსა და ნაკლზე — მხოლოდ თარგმანის ავ-კარგის შეფასება შემიძლია. თუმცა, ბევრი რამე, რა თქმა უნდა, თავად დედნიდან მომდინარეობს. ეს არის კლასიკური „ნონ ფიქშენი“ — დოკუმენტური პროზის ნიმუში, რომელიც ემყარება აუდიოჩანაწერებს. დოკუმენტური პროზა სულ უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში.

**„მე, მეგობრები და ჰეროინი“** ავთენტური ტექსტია, მინიმალისტური მხატვრული და გამომსახველობითი საშუალებებით, მაგრამ სრულიად კონკრეტული პრობლემატიკით. ნარატორის — ქრისტიანეს გარდა, ამბავს გვიყვებიან ქრისტიანეს დედა — რამდენჯერმე, იურგენ ქუანდტი — ახალგაზრდული წრის ევანგელისტი პასტორი, ბერჰარდ იულბერგი — პოლიციის დეპარტამენტის უფროსი, რენატე შიპკე — ნარკოდამოკიდებულებთან მუშაობის განყოფილების საქმის მწარმოებელი. ერთი ამბავი, ქრისტიანეს თავგადასავალი, რამდენიმე ადამიანის მონათხრობით ყალიბდება. ეს, რა თქმა უნდა, არ არის წმინდა სახარებისეული კომპოზიცია, რომელსაც არაერთი დიდი მწერალი იმეორებს, მაგალითად, **უილიამ ფოლკნერი** თავის ცნობილ რომანში **„ხმაური და მძვინვარება“,** თუმცა მიახლოებულია მასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ამბავი ძალიან მძიმეა და თანამედროვე ეპოქის მომაკვდინებელ ცოდვებს — ნარკომანიასა და პროსტიტუციას ეხება, სიუჟეტი იმდენად ექსპრესიულადაა აგებული, თხრობა კი ისეთი საინტერესო, სულისშემძვრელია, რომ შეუძლებელია ტექსტი შუა გზაზე მიატოვო, შეწყვიტო კითხვა. ქრისტიანე, დაახლოებით, 1962 წელს დაიბადა, 1968 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადადის ბერლინში — ერთგვარი გერმანული ოცნების ასასრულებლად და სწორედ აქიდან იწყება ქრისტიანეს პრობლემები.

# უნივერსალური შიფრი

**ნაწარმოები აღსავსეა სოფლისა და ქალაქის დაპირისპირებით, ანტითეზით. სოფლის უშუალობას, გულწრფელობას, ბუნებასთან სიახლოვეს, ცხოველების სიყვარულს — ქალაქის აკრძალვები, სისასტიკე, ბუნებასთან გაუცხოება, ბეტონის სამყარო უპირისპირდება.** ყველაფერი მძაფრდება ბერლინის ცენტრიდან გროპისშტადტში გადასახლების შემდეგ — ეს არის მუშათა დასახლება, ე. წ. საძილე რაიონი, სადაც სოციალური ფონი გამძაფრებულია. **მშობლები ძირითადად ლუკმაპურის საშოვნელად არიან გადაგებული, ყველგან ძალადობა მძვინვარებს, თითქმის ყველა ოჯახი ერთმანეთს ჰგავს — ბავშვებთან გაუცხოებით, დიალოგის დეფიციტით. მთავარია, მინიმალური საცხოვრებელი პირობები შეუქმნან შვილებს და მინიმალური განათლება მისცენ. განსაკუთრებით უჭირთ მამებს, რომლებსაც არ შესწევთ ახალ გარემოში თვითდამკვიდრების უნარი. ამიტომაც ძალადობენ ოჯახის წევრებზე, ცოლებსა და შვილებზე. ქრისტიანეს მამა მხოლოდ ძაღლს არ აკარებს ხელს. სწორედ ამ დროს უყალიბდება გოგონას თავდაცვის ამგვარი წესი — სცემე ან იცემები.**

**სამყაროსთან, მის გამოწვევებთან პირისპირ დარჩენილი ქრისტიანე, რომელიც დაღალა მამის ძალადობამ, დედის მონობასთან არეულმა მორჩილებამ, გაუთავებელმა აკრძალვებმა — ამ გამოწვევებს ნარკოტიკებით, გაქცევით „უმკლავდება!“**

ჰეროინამდე საკმაო გზას გაივლის ჰაშიშით, ვალიუმით, ათასგვარი გამაბრუებელი საშუალებით. 13-14 წლის ასაკში ჯერ ჰეროინის ყნოსვას იწყებს, შემდეგ კი „გაჩხირვას.“ თავიდან ძალიან მოსწონს ნარკომანთა „საძმო“, ბევრ საერთოს პოულობს მათთან, გამორჩეულებს ბაძავს, მაგრამ თანდათან რწმუნდება, რომ მათი ნდობაც არ შეიძლება. შეყვარებული დეტლეფი ისე მიდის პარიზში, რომ ქრისტიანეს სიტყვასაც არ ეუბნება. თუმცა იგი თავისი გოგოსთვის, კარგა ხანს, პანელზე მუშაობდა, რაც ამ სამყაროსთვის ნამდვილი გმირობაა. „საძმოს“ წევრებს მყისიერად ავიწყდებათ მეგობრობაცა და ერთგულებაც, როცა საქმე ნარკოტიკის, განსაკუთრებით, ჰეროინის, გაყოფას ეხება. ისინი ცოტა ხანს „არსებობენ მშვენიერ და მათრობელ სამყაროში“, რადგან ნარკოტიკი, განსაკუთრებით ჰეროინი, ანგრევს ახალგაზრდა, ჯერაც ჩამოუყალიბებელ ორგანიზმს.

მერე იწყება ჯანმრთელობის პრობლემები, ჰეპატიტი, სიყვითლე და ა.შ. მოზარდები ცოცხალ ლეშს ემსგავსებიან!

ქრისტიანემ, მინიმუმ, ხუთჯერ სცადა „ლომკის“ მოხსნა, სხვადასხვა დაწესებულებაში მკურნალობა, ჰეროინის გარეშე გაძლება, მაგრამ რთული დღეების, ზოგჯერ, კვირებისა და თვეების გასვლის შემდეგაც პირველივე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ ისევ „შეჯდეს“ ნარკოტიკზე. ქალაქიდან წასვლამაც არ უშველა ამ პატარა, ერთი შეხედვით, თავხედ და თავდაჯერებულ, გოგოს, რომელიც, 16 წლამდე, უკვე ქრონიკულ ნარკომანად ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლიურ სოფელ — ჰუსენში, ისევ ბავშვად იქცევა, რომელიც თამაშობს, ჯირითობს, ერთობა, თავის თავში ნარკომანს მაინც ვერ ამარცხებს. ეს იმის ბრალიცაა, რომ ნარკოტიკის შოვნა იმდროინდელ გერმანიაში, თითქმის ყველგან, მათ შორის, პროვინციაშიც, შეიძლება. თითქოს ორი ადამიანი ცხოვრობს ერთდროულად გოგონას არსებაში — ქრისტიანე და ვერა. პირველი წყალწაღებული ნარკომანია, ხან ქურდობს, ხან მათხოვრობს, ხან პანელზეა, ყველაფერზე მიდის — ნარკოტიკის საშოვნელად და ვერა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვია, თამაში და მოფერება ენატრება, უყვარს ცხოველები და ზოოპარკში სიარული, სკოლა არ მოსწონს, მაგრამ საზოგადოებათმცოდნეობასა და გერმანულს მაინც ხალისით სწავლობს.




ქრისტიანეს თხრობა უშუალო და გულწრფელია, მას მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს თავისი ცხოვრება, ყოველგვარი შეგონების, მორალისა და ჭკუის სწავლების გარეშე. უამრავ მესიჯს გვიტოვებს — **აკრძალული საქმიანობით მიღებული სიამოვნება ხშირად ასეთ სავალალო შედეგებამდე მიდის, ვერასოდეს ვერავინ გაიძულებს ნარკომანობას — ეს შენი არჩევანია. ადამიანი საკუთარი ნებით მიდის ჰეროინამდე და თითქმის ვერასოდეს ამბობს მასზე უარს.**

**თავისი სათქმელი აქვს ქრისტიანეს დედასაც — მუშაობით დაღლილმა, ყოფის ჭაპანში ჩაბმულმა მშობლებმა არასოდეს უნდა დაივიწყონ შვილები, მათი პრობლემები და როცა საჭიროა, უკიდურესი სიმკაცრეც უნდა გამოიჩინონ, როგორც, მაგალითად, კესის დედა იქცევა.**

**ბავშვებზე უნდა მეზრუნა და არა გიჟივით მემუშავა, ჩემი საჩუქრები მხოლოდ სინდისის დამშვიდებას ემსახურებოდა — ასეთია ქრისტიანეს დედის აღსარება. „მუდმივი დაკავებები, სასჯელის შეფარდება და სასჯელის მოხდა არაფერს ცვლის“ — ეს ძალოვანთა პოზიციაა.**

საინტერესოა ნაწარმოების ფინალიც, უფრო ღია ფინალს რომ ჰგავს ან მკითხველს უნდა ასეთად აღიქვას — ქრისტიანე ოცნებობს, რომ თავის ახალშეძენილ მეგობრებთან ერთად, კირქვის მოპოვების კარიერის ფსკერზე ხის სახლებს ჩადგამენ, დიდ ბაღს გააშენებენ, ეყოლებათ ცხოველები. „გვექნებოდა ყველაფერი, რაც ადამიანს არსებობისთვის ესაჭიროება. სამტეხლოდან გასასვლელ ერთადერთ გზას ავაფეთქებდით... ალბათ, ზემოთ ამოსვლა არასდროს მოგვინდებოდა.“ ეს რეალური ცხოვრებისაგან, დაუნდობელი სამყაროსგან გაქცევის გზა და მარცხია, ქრისტიანე დამარცხდა წუთისოფელთან ჭიდილში.

წიგნი მხოლოდ შინაარსი არ არის, ის გამოცემის კულტურაცაა. **„მე, მეგობრები და ჰეროინი“** გამომცემლობა „ივერიონმა“ დაბეჭდა 2017 წელს. ის კულტურული, საინტერესო გამოცემაა. მისი მთარგმნელის **ნინო ჯიბუტისთვის** ეს სადებიუტო ნამუშევარია. იგი სამართლის დოქტორია, განათლება გერმანიაში მიიღო. ამ წიგნის პოპულარობამ და პრობლემამ გადააწყვეტინა მისი ქართულად თარგმნა. იგი გერმანიაში პირველად 1978 წელს გამოიცა, თარგმნილია მრავალ ენაზე და ისწავლება გერმანულ სკოლებში. 2006 წელს წიგნმა ავსტრიული ლიტერატურული პრემია Der Buchliebling (კატეგორია — საკითხავი ახალგაზრდებისთვის) მიიღო.

**„მე, მეგობრები და ჰეროინი“** კრიმინალური ქრონიკით იწყება, საინტერესოა, რომ თარგმანის ოფიციალური ქრონიკის ენა განსხვავდება ნარატორის, სხვა მთხრობელთა ენისგან. წიგნი, თითქმის, თავისუფალია კალკისა და ხელოვნური ფორმებისგან. თუ რამდენიმე სტილურ ხარვეზს და სინტაქსურ გადაცდომას არ ჩავთვლით, იგი გამართული ქართულითაა შესრულებული.

**ნინო ჯიბუტი** იცავს თარგმანის სტილს და, როგორც ჩანს, შედარებით სუსტ და ჩავარდნილ ადგილებს, სტაბილურობისთვის არ ასწორებს, რაც მე აბსოლუტურად სწორი მიდგომა მგონია. **ამ თარგმანში ჩანს ახალგაზრდა ნინო ჯიბუტის შრომისმოყვარეობა, განსწავლულობა და გემოვნება. ჩანს პროფესიული რედაქტორული ნამუშევარიც (თუმცა მის ვინაობას ვერსად წაიკითხავთ). ქართულ გამოცემას მხოლოდ მთარგმნელის მცირე წინასიტყვაობა უძღვის.** ჩემი აზრით, მომდევნო გამოცემის შემთხვევაში, ურიგო არ იქნებოდა პროფესიული ანოტაციის დართვაც, რაც მკითხველს უფრო გაუმძაფრებდა მისი პრობლემატიკის, აქტუალობის აღქმას. **„მე, მეგობრები და ჰერონი“** ჩვენი საზოგადოებისთვის მეტად საჭირო შენაძენია.

იმ პირობებში, როცა საქართველოში თითქმის დავიწყებულია ჩვენი სტრატეგიული პარტნორების — გერმანელების ენა და არსებობს საშიშროება, რომ ამ უმდიდრეს და ულრმეს ენაზე არსებული ერთ-ერთი ყველაზე მეტაფიზიკური და ფილოსოფიური მწერლობის ქართული თარგმანების გარეშე დავრჩეთ, **ნინო ჯიბუტის** „მე, მეგობრები და ჰეროინი“, ნამდვილად, კარგი შენაძენია ქართველ მთარგმნელთა მცირერიცხოვანი გერმანულენოვანი გილდიისთვის!

**მარინე ტურავა,**
**ფილოლოგიის დოქტორი,**
**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ასოცირებული პროფესორი.**

# სამხრეთი კავკასია 2018: პროგნოზები აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთისთვის

**როგორ განვითარდება მოვლენები 2018 წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში – აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში? აზერბაიჯანული ანალიტიკური გამოცემის კითხვებს უცხოელი და აზერბაიჯანელი ექსპერტები პასუხობენ.**



**ელენე კასუმოვა, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფოს მართვის აკადემიის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი:**

„პოლიტოლოგიური მეცნიერება იმის ნაცვლად, რომ დინამიკური ყოფილიყო, კონსერვატიული აღმოჩნდა. საერთაშორისო პრესის ზედაპირული ანალიზიც კი გვაჩვენებს, რომ ჩვენი კოლეგების უმრავლესობა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს 1990-იანი წლების პარადიგმებით უყურებს: მათთვის სომხეთი უპირობოდ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა, ანუ „რუსეთის ფორპოსტი", საქართველო – „დასავლეთის ფორპოსტი", აზერბაიჯანი კი დასავლეთზეა ორიენტირებული, თუმცა რუსეთთანაც ტოლფას ურთიერთობას ავითარებს. მაგრამ ბოლო 20 წელიწადში ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩვენ რატომღაც ვივიწყებთ, რომ 1990-იან წლებში მსოფლიო ტოტალურ „ერთპოლარულ" მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმ პერიოდში ბორის ელცინის დროინდელმა რუსეთმა დასავლეთის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა, ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა.

საქართველოში პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და გარკვეულწილად – პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც – ორივე „ჩრდილოვანი მმართველის" ბიძინა ივანიშვილის პროტეჟეები არიან. თანაც ბიძინა ივანიშვილს და გიორგი კვირიკაშვილს, მათთან შედარებით უფრო რადიკალურად განწყობილი პრეზიდენტისაგან განსხვავებით, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება სურთ, უპირატესად სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ეს ტრენდი 2018 წელსაც გაგრძელდება.

რატომღაც ბევრს ავიწყდება, რომ აზერბაიჯანი ჯერ კიდევ 2011 წელს გახდა მიუმხრობლობის მოძრაობის ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად, მისი საგარეო პოლიტიკა თვითკმარი და უკიდურესად აწონილ-დაწონილია „ძალოვანი ცენტრების" მიმართ. თუ 2018 წელს საბოლოოდ გაფორმდება ხელშეკრულება კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ, მაშინ ბაქოსთვის საგარეო რისკები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. რაც შეეხება სომხეთს, იქ ისეთი სიტუაციაა, რომ ყველაფერია მოსალოდნელი – „ფერადი რევოლუციაც", ამბოხებაც და სამხედრო გადატრიალებაც. სომხეთი სამხრეთ კავკასიისთვის ყველაზე მადესტაბილიზებელ ფაქტორად იქცევა".

**მეჰმან გაფარლი, ჟურნალისტ-ანალიტიკოსი, პოლიტოლოგი (რუსეთი):**

„უფრო ზუსტად გავცეთ პასუხი კითხვას – ელოდება თუ არა სამხრეთ კავკასიას ცვლილებები 2018 წელს"? ამისთვის უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ რეგიონის ორი ქვეყანა – აზერბაიჯანი და სომხეთი, აგრეთვე სამი მეზობელი – თურქეთი, ირანი და რუსეთი „ფერადი რევოლუციების" პოტენციური კანდიდატები არიან. ამიტომაც საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანის სიტუაციაზე გავლენას მოახდენენ არა მარტო შიდა ფაქტორები, არამედ ის არასასურველი ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება მეზობლებში მოხდეს.

ამ წელიწადში სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს: აზერბაიჯანსა და საქართველოში დაგეგმილია ოქტომბერში, სომხეთში კი – მარტში. ვფიქრობ, საქართველოში ქვეყნის მეთაურის არჩევნები სიტუაციის მნიშვნელოვანი გართულების გარეშე ჩაივლის, რადგან იქ ოპოზიციისა და ხელისუფლების ურთიერთობის პრობლემა მაინცდამაინც მწვავედ არ დგას. სომხეთში არჩევნების მოახლოებასთან ერთად დაძაბულობა მოიმატებს, თუმცა ეს უფრო პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის შიგნით. გავიხსენოთ, რომ სომხეთის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მარტში პრეზიდენტი საყოველთაო კენჭისყრით კი არ აირჩევა, არამედ პარლამენტის (ეროვნული კრების) მიერ. თუ ისე მოხდება, რომ პარლამენტი პრეზიდენტის არჩევას ვერ მოახერხებს, მაშინ კრიზისი განვითარდება და ეს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტზეც იმოქმედებს.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, არაა გამორიცხული, რომ პრეზიდენტის არჩევნების წინ სიტუაცია დაიძაბოს: ეს იმ შემთხვევაში, თუ მეზობელ ირანში კვლავ ისეთი მოვლენები განვითარდება, როგორც ამას წინათ მოხდა. აზერბაიჯანზე გავლენას მოახდენს თურქეთის მდგომარეობაც, თუ იქ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი დაიწყება. ასეთ სიტუაციაში აზერბაიჯანის ხელმძღვანელებს უკიდურესად დაჭირდება მცირე გამარჯვება მაინც მთიანი ყარაბაღის ომში. თუ ამ ომს სომხეთი წააგებს, იქ „ფერადი რევოლუცია" მოხდება, აზერბაიჯანში კი ხელისუფლება განმტკიცდება და უახლოეს წლებში მას არაფერი დაემუქრება.

**ჰაიმე ალეხანდრო-ფერეირა, ჟურნალისტი და პოლიტიკური ანალიტიკოსი (პორტუგალია):**

„ჩრდილოეთი (რუსული) და სამხრეთი (აზერბაიჯანულ-სომხურ-ქართული) კავკასია ამჟამად არსად არ განიხილება გლობალურ „ცხელ წერტილად" ან დაძაბულობის კერად მთელ იმ „არასტაბილურობის რკალში", რომელიც დასავლეთ აფრიკიდან ინდოეთამდე და ჩინეთის წყნარი ოკეანის ნაპირებამდე არსებობს. სიტუაცია ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა სუბიექტებში მკაცრად კონტროლდება და იქ, თავისი არსით, ხელისუფლების სათავეში სამხედრო ხელმძღვანელები არიან, კრემლიდან დანიშნულები. ამიტომ ტერორიზმის გამოვლინება უფრო მეტად საქართველოსა და აზერბაიჯანშია მოსალოდნელი.

საერთოდ, საქართველოში სიტუაცია ერთობ პარადოქსულია. პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ერთი პარტიიდან – „ივანიშვილის ბუდიდან" არიან ამოფრენილი, მაგრამ მაშინ როცა პრემიერ-მინისტრი თავისი „პატრონის" მიმართ ლოიალობის დემონსტრირებას ახდენს და თავს იკავებს თვითნებურად გადადგმული ნაბიჯებისაგან, პრეზიდენტი რეალური ხელისუფლებისთვის იბრძვის, თანაც, ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე: მას დე ფაქტოდ არ ექვემდებარება არც ძალოვანი და არც პოლიტიკურ-დიპლომატიური უწყებები. ამ ბრძოლაში აშკარაა, რომ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრმა დაჯაბნა: 2018 წლის საპრეზიდენტო კამპანია უკანასკნელი იქნება, რომლის დროსაც პრეზიდენტს მოსახლეობა პირდაპირი ხმის მიცემით აირჩევს. აქვე ვიტყვი, რომ ჩემი აზრით, გიორგი მარგველაშვილის შანსები უკიდურესად დაბალია.

აზერბაიჯანში სიტუაცია აბსოლუტურად პროგნოზირებადია. დასავლეთში და იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც მზად არიან აზერბაიჯანზე ზეწოლის მოსახდენად, მშვენივრად აცნობიერებენ, რომ დღევანდელ ლიდერს ილჰამ ალიევს არანაირი კონკურენტი არ ჰყავს, მისი ალტერნატივა არ არსებობს. იგი საგარეო-პოლიტიკური კურსის უცვლელობისა და ქვეყნის ყველა ენერგოპროექტის გარანტს წარმოადგენს.

სრულიად სხვა სიტუაციაა სომხეთში. მართალია, სერჟ სარგსიანი ბევრს ცდილობს, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი მაინც ვერ შეძლებს საზოგადოებაში დაწყებული ანტირუსული ტრენდის შეჩერებას. ამიტომაც მოსალოდნელია კრიზისის განვითარება სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში, რაც, შეიძლება ითქვას, მმართველი რესპუბლიკელებისათვის სიკვდილის ტოლფასია. მოკლედ, სომხეთში მოსალოდნელია მადესტაბილიზებელი პროცესები, რომლებიც შეიძლება „ფერად რევოლუციაში" გადაიზარდოს.

**რივზან ჰუსეინოვი, კავკასიის ისტორიის ცენტრის დირექტორი (აზერბაიჯანი):**

„2018 წელი თამამად შეიძლება ჩავთვალოთ „საარჩევნო მოსავლის" წლად მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. პრეზიდენტის არჩევნები რუსეთშიც გაიმართება, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებიც.

სომხეთში შეიძლება ისეთი ადამიანი აირჩიონ პრეზიდენტად, რომელიც დასავლეთთან ინტეგრაციას გააძლიერებს. საფუძველი უკვე შექმნილია, მოსახლეობაც მომზადებულია. თუმცა რამდენად იქნება ეს პროცესი წარმატებული, კაცმა არ იცის: სომხური ელიტა ხშირად ხალხის ინტერესებს არაფრად აგდებდა და ძლიერ სახელმწიფოს ემსახურებოდა.

აზერბაიჯანი და საქართველო ერთმანეთისთვის სტრატეგიული პარტნიორები არიან და ამ კვანძში მესამე მოთამაშის – თურქეთის გავლენა მატულობს. ბევრი ექსპერტის აზრით, საქართველოში რაიმე განსაკუთრებული ექცესები მოსალოდნელი არ არის: დღევანდელ პრეზიდენტს შეუძლია თავისი პოსტი მშვიდად დატოვოს და იმ პოლიტიკოსს გადასცეს, რომელიც შეძლებს რუსეთთან საერთო ენის გამონახვას, დასავლეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის ფონზე. რაც შეეხება აზერბაიჯანს, აქ მისი გეოპოლიტიკური და ენერგო-სატრანზიტო-ლოჯისტიკური როლი უნდა გავითვალისწინოთ. ვფიქრობ, დასავლეთი ბაქოს ყურადღებას მიაპყრობს. აზერბაიჯანის ხელისუფლება ეკონომიკის რეფორმირებას ცდილობს, ავითარებს ნავთობისა და გაზის სექტორს, სოფლის მეურნეობას და ტურიზმს. მოსალოდნელია საგარეო პოლიტიკის ტრადიციული ვექტორების გაძლიერება: რუსეთთან და თურქეთთან, აგრეთვე ბაქოს დაახლოება თეირანთან".

**მოგვაწოდა „ნიუსპრესმა"**
**„Aze.az" (აზერბაიჯანი)**

## აშშ-ის „შავ სიაში" დიმიტრი მედვედევი, სერგეი ლავროვი და დიმიტრი პესკოვიც მოხვდნენ

ამერიკის ფინანსთა სამინისტრომ ე.წ. „კრემლის სია" გამოაქვეყნა. „შავ სიაში" პუტინთან დაახლოებული პირები მოხვდნენ, რომლებზეც შესაძლოა სანქციები გავრცელდეს.

210 პირს შორის 114 პოლიტიკოსი და 96 ბიზნესმენია. მათ შორის არიან რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და კრემლის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი.

## საჰაერო რეისი ბიოსაწვავით განხორციელდა

პირველად ისტორიაში ავსტრალიიდან აშშ-ში ფრენა ბიოსაწვავით განხორციელდა, რეისი ავსტრალიურმა ავიაკომპანიამ განახორციელა. მელბრუნიდან ლოს-ანჟელესისი მიმართულებით ფრენა B787-9-ის მეშვეობით განხორციელდა და ლაინერმა მარშრუტის დაფარვას 15 საათი მოანდომა. როგორც ირკვევა ავიასაწვავის 10%-ს მდოგვის თესლის ზეთი, ხოლო 90%-ს ჩვეულებრივი საავიაციო საწვავი წარმოადგენდა. 2020 წლისთვის Qantas -ი ბიოსაწვავით რეგულარული რეისების განხორციელებას გეგმავს.

## გინესის რეკორდსმენები ერთმანეთს შეხვდნენ



მსოფლიოში ყველაზე მაღალი მამაკაცი და ყველაზე დაბალი ქალი ერთმანეთს ეგვიპტეში შეხვდნენ. თურქი ფერმერი სულთან კესენი 251 სანტიმეტრის სიმაღლისაა, ინდოელი ჯოტი ამჯი კი სიმაღლით 62 სანტიმეტრს არ აღემატება. გინესის რეკორდსმენებმა მონაწილეობა ფოტოსესიასი მიიღეს. ფოტოები მათ ეგვიპტის ღირშესანიშნაობების ფონზე გადაიღეს. ღონისძიება ეგვიპტის ტურიზმის სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული და მიზნად ქვეყანაში ტურისტების მიზიდვას ისახავდა.

## გერმანიაში 44 ტონა შოკოლადი მოიპარეს

გერმანიის ქალაქ ფრაიბურგში მასშტაბური ქურდობა მოხდა. ქალაქის ცენტრიდან 2 სატვირთო მანქანა გაიტაცეს, რომელზეც 44 ტონა შოკოლადი იყო დატვირთული. პოლიციამ ერთ-ერთ მანქანას ცენტრალურ მაგისტრალზე მალევე მიაკვლია. მძღოლმა გაქცევა შეძლო. მეორე მანქანა კი ქალაქ ლართან იპოვეს. ის უკვე ცარიელი იყო. მოპარული შოკოლადის ღირებულება 400 ათას ევროს აღემატება.

# „ნენსკრაჰესის“ მოსაწყობად 200 ჰექტარი ტყეა გასაჩეხი!

**„ჰესის აშენების სანაცვლოდ ამხელა ტერიტორიის განადგურება არც ბიომრავალფეროვანი, არც გეოლოგიური და არც ენერგეტიკული თვალსაზრისით არ ღირს“ – განუცხადა გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა, ამჟამად „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელმა ნინო ჩხობაძემ „კომერსანტს“. საუბარია 280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელსაც „საპარტნიორო ფონდი პარტნიორ კორეულ კომპანია K-Water-თან ერთად სვანეთში, ენგურის შენაკადზე აშენებს.**



მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ნენსკრაჰესის“ პროექტი სვანეთში 700 ჰექტარზე მეტი ფართობის ტყის საფარის გაჩეხას ითვალისწინებს.

**„კომერსანტი“ დაინტერესდა: რა ზარალი და ზიანი შეიძლება მიაყენოს „ნენსკრაჰესმა“ გარემოს და რამდენად ღირს აღნიშნული პროექტის განხორციელება?**

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელის **ნინო ჩხობაძის** განცხადებით, ეს არის აბსოლუტურად ხელუხლებელი ხეობა, რომელშიც არის პირვანდელი ტყეები. პროექტის დამტკიცებისა და მოსახლეობის ნებართვის საფუძველზე, გარკვეული ნაწილი უკვე გაჩეხილია, თუმცა ზემო ნაწილში ჯერ კიდევ დარჩენილია ხელუხლებელი ტერიტორია, რომელიც დასაცავია.

**„ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით იქ არის ხელუხლებელი გარემო, ანუ ბუნებრივი კორომებია. რელიეფურად იმდენად მძიმეა, რომ თავის დროზე სატყეო მეურნეობებიც კი არ იყო დაშვებული. ტყის პირვანდელი სახე იმდენად არის შენარჩუნებული, რომ ეს ადგილი დაცული ტერიტორიების ქვეშ უნდა მოექცეს. რაც შეეხება გეოლოგიურ მიმართულებას, ეს ტყე იცავდა ჭუბერსა და მიმდებარე ტერიტორიებს, რათა ნენსკრასა და ნაკრას მდინარეებთან ღვარცოფული მოვლენები არ განვითარებულიყო. ცნობილია, რომ იქ არის დაახლოებით 3 მეწყერული ზონა“,** – განმარტავს ჩხობაძე.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების“ ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ნენსკრას პროექტის წარმატება ეკონომიკური მომგებიანობის თვალსაზრისითაც ეჭვქვეშაა, რადგან ჰესს აქვს პრობლემა წყალთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, ამ ტერიტორიაზე წყლის დეფიციტია, ამიტომაც პროექტის განხორციელებისთვის ნაკრას ხეობიდან ამატებენ წყალს ნესკრაში.

**„როცა წყალი არ გყოფნის და როცა შენ გაქვს გრძელვადიანი პროგნოზი, რომ წყალი შეიძლება არ გქონდეს და როცა ნენსკრას ხეობა არის მყინვარზე დამოკიდებული, მყინვარები კი კატასტროფული სიჩქარით დნება, რამდენად რენტაბელურია იქ ჰესის აშენება, ეჭვი მეპარება. სავარაუდოდ, ეს იქნება არაეფექტური პროექტი“**, – აცხადებს ჩხობაძე.

ნინო ჩხობაძის მოსაზრებას იზიარებს „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი **დავით ჭიპაშვილიც,** რომელიც აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გარკვეული მცენარეების მდგომარეობა გაუარესებულია. ცნობილია, რომ „მწვანე ალტერნატივამ“ ვენის კონვენციის ბიუროში საჩივარიც შეიტანა და საკითხი მარტის დასაწყისში უკვე განიხილება.

როგორც „მწვანე ალტერნატივაში“ აცხადებენ „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არის შემაჯამებელი ხასიათის, სადაც დეტალურად არ არის წარმოდგენილი კვლევის პროცესი. შესაბამისად ვერ დგინდება რეალური სარგებელი, ზიანი ან შედეგი. ეს ფაქტი კი, კიდევ უფრო მეტად აყენებს ეჭვქვეშ არსებულ ვითარებას და იმას, რომ ჰესის აშენება ამ ტერიტორიაზე აუცილებელია.

„კომერსანტი“ დეტალების გასარკვევად „ნენსკრა ჰიდროს“ დაუკავშირდა. როგორც კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი ირინა პეტრიაშვილი აცხადებს, სახელმწიფოს დაკვეთით შვეიცარიულმა კომპანიამ საქართველოს მასშტაბით ჩაატარა მიზანშეწონილობის შეფასებითი კვლევები, რომელთა შედეგადაც შეირჩა კაშხლის მქონე ჰესის ასაშენებლად მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე ნენსკრას ხეობა. ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად ჩატარდა კომპლექსური კვლევები. შექმნილია ტყის საფარის აღდგენის სპეცილური გეგმაც.

პეტრიაშვილი გამარტავს, რომ ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ იყო ინიცირებული და სახელმწიფო ენერგოსისტემის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია, ჰესის მთავარი დანიშნულება კი ელექტროენერგიის იმპორტის საგრძნობლად შემცირებაა.

„კომერსანტის“ კითხვაზე, სად აპირებს კომპანია ალერნატიული ტყის საფარის აღდგენას, ირინა პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ კომპანია ჯერჯერობით დეტალებს არ ასაჯაროებს.

როგორც ცნობილია, სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტი საბოლოოდ 2021 წელს დასრულდება. მშენებლობას საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული უმსხვილესი იტალიური კომპანია Salini Impregilo ქართულ კონტრაქტორ სამშენებლო კონსორციუმთან GCC ერთად ახორციელებს. პროექტის ჯამური ღირებულება 1 მლრდ აშშ დოლარია.

**სალომე ლემონჯავა**



**წყალბურთი**

# შესარჩევს ბულგარეთში ითამაშებენ



**ევროპის 16 უძლიერესი ნაკრები იასპარეზებს წლეულს 26 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით ბელარუსის დედაქალაქ მინსკში 19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. წინა შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით, იქ თამაშის უფლება უკვე მოპოვებული აქვთ სერბეთს, ხორვატეთს, უნგრეთს, იტალიას, რუსეთს, მონტენეგროს, ესპანეთს, ასევე, ბელარუსს, როგორც მასპინძელს. დანარჩენი რვა საგზურისთვის 16 გუნდი დაუპირისპირდება ერთამანეთს. წილისყრით საქართველოს ნაკრები A ჯგუფში მოხვდა გერმანიასთან, ჰოლანდიასა და მასპინძელ ბულგარეთთან ერთად. საკვალიფიკაციო შეხვედრები 11-13 მაისს გაიმართება. დანარჩენ ჯგუფებში გუნდები ასე გადანაწილდნენ:**

B **ჯგუფი** (საფრანგეთი). საფრანგეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, მოლდოვა.

C **ჯგუფი** (დიდი ბრიტანეთი). საბერძნეთი, უკრაინა, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი.

D **ჯგუფი** (სლოვენია). რუმინეთი, მალტა, შვეიცარია, სლოვენია.

თითოეული ჯგუფიდან ფინალში 2-2 გუნდი გადის.

**გივი გაგუა**

**ჭადრაკი**

# მიხეილ მჭედლიშვილი საქართველოს ჩემპიონია



**დამთავრდა** საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 77-ე ეროვნული ჩემპიონატი (საპრიზო ფონდი 21.500 ლარი).

ნოკაუტ-სისტემით საპრიზო ადგილებს სხვადასხვა კუთხის 16 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს. ფინალში მიხეილ მჭედლიშვილისა და დავით ჯოჯუას ორივე კლასიკური პარტია ყაიმით დასრულდა. ტაი-ბრეიკის (ორი 10-წუთიანი პარტია ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) პირველ ტურში მეტოქეები დაზავდნენ, მეორე ხელი კი მიხეილ მჭედლიშვილმა მოიგო და საქართველოს ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში თორნიკე სანიკიძემ 1.5:0.5 სძლია გიგა ყუფარაძეს. ტურნირის საპრიზო ფონდი პირველ რვა საუკეთესოზე ასე განაწილდა: I ადგილი 7.500 ლარი, II – 5.500, III – 4.000, IV – 2.500, V-VIII ადგილები (ნიკოლოზ კაჭარავა, ბაჩანა მორჩიაშვილი, ლუკა პაიჭაძე, დავით მაღალაშვილი) - 500-500 ლარი.

**ლექსო ცინცაძე**

**ჩოგბურთი**

# რეიტინგები და მეტოქეები

**ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. ქართველთაგან ნიკოლოზ ბასილაშვილი ერთეულთა მსოფლიო კლასიფიკაციაში ოთხი ადგილით წინ გადავიდა, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვა ცხრა საფეხურით დაწინაურდა.**

**ქალები. ერთეულები.** 327 (330). ეკატერინე გორგოძე (137 ქულა), 342 (358). სოფიო შაფათავა (127), 559 (559). მარიამ ბოლქვაძე (47). **წყვილები.** 63 (72). ოქსანა კალაშნიკოვა (1174), 238 (239). სოფიო შაფათავა (298), 383 (365). ეკატერინე გორგოძე (146), 627 (631). მარიამ ბოლქვაძე (55), 769 (771). თათია მიქაძე (34), 965 (965). სალომე დევიძე (19).

**ვაჟები. ერთეულები.** 57 (63). ნიკოლოზ ბასილაშვილი (916), 1082 (1084). გიორგი ცივაძე (8), 1233 (1234). ალექსანდრე ბაქში (4), 1595 (1600). გიორგი ჯავახიშვილი (1), 1828 (1838). ვაჟა შუბლაძე (1). **წყვილები.** 818 (822). ნიკოლოზ ბასილაშვილი (45), 857 (856). გიორგი ცივაძე (42), 1187 (1192). ალექსანდრე ბაქში (16).

საქართველოს ვაჟთა ნაკრები (ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი, კაპიტანი დავით კვერნაძე) 3-4 თებერვალს მაროკოში დევისის თასის ევროაფრიკულ მეორე ზონაში მასპინძლებს (ლამინ უაჰაბი, ემინ ეჰუდა, სუფიან ელ მესბაჰი, იასინ იდმბარექი, კაპიტანი მეჰდი ტაჰირი) შეხვდება. ამ ზონაში 16 გუნდი იბრძოლებს ზედა ეშელონში დასაწინაურებლად. პირველ რაუნდში მაროკო-საქართველოს და რუმინეთ-ლუქსემბურგის წყვილებს შორის გამარჯვებულები მეორე წრეში 7-8 აპრილს ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას.

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები (ეკატერინე გორგოძე, სოფიო შაფათავა, მარიამ ბოლქვაძე, ოქსანა კალაშნიკოვა, კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) 7-10 თებერვალს ტალინში ფედერაციის თასის გათამაშებაში ჩაებმება. პირველ ევროაფრიკულ ზონაში ჩვენები A ჯგუფში მოხვდნენ, სადაც სერბეთსა (დეიანა რადანოვიჩი, ივანა ჯოროვიჩი, ოლგა დანილოვიჩი, ბოიანა მარინკოვიჩი, კაპიტანი ტატიანა ჟესმინიცა. წინასწარი მონაცემებით, არ ეყოლებათ ალექსანდრა კრუნიჩი და ელენა იანკოვიჩი) და ბულგარეთს (ვიქტორია ტომოვა, იზაბელა შინიკოვა, ჯულია ტერზიისკა, გერგანა ტოპალოვა, კაპიტანი დორა რანგელოვა) დაუპირისპირდებიან.

**ლაშა დიდია**



**ლეგიონერი**

# ჩემპიონიც, საუკეთესო მოთამაშეც

**გოგა ბითაძის „მეგა ბემაქსი" ადრიატიკის ახალგაზრდული (19-წლამდე) ლიგის ჩემპიონი გახდა, ხოლო 18 წლის ქართველი კალათბურთელი ოთხთა ფინალის უძვირფასეს მოთამაშედ (MVP) აღიარეს.**

შეგახსენებთ, რომ სერბულმა გუნდმა ნახევარფინალში „იგოკეას" (ბოსნია-ჰერცეგოვინა) 73:70 სძლია, ქართველმა ცენტრმა კი 33 წუთში 17 ქულა, 14 მოხსნა (7 შეტევაში), 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა.

ბითაძეს ტემპი არც ფინალში დაუგდია, სადაც „მეგა ბემაქსი" უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ „ცრვენა ზვეზდას" გაეჯიბრა და მოულოდნელად იოლად – 82:60 სძლია. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის მერე გოგას გუნდი 2 ქულით მარცხდებოდა, მაგრამ მე-2 ნახევარში მეტოქე 47:23 გაანადგურა.

გოგა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 24 წუთში 17 ქულა, 8 მოხსნა (2 შეტევაში), 1 პასი, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. ქართველმა ლეგიონერმა 9-დან 7 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს, ერთხელ დაუფარეს, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

თამაშის მერე ჩვენებურს საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცეს და, ცხადია, ის ოთხთა ფინალის სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა.

ახალგაზრდულ დონეზე ტრიუმფის შემდეგ, ბითაძე „მეგა ბემაქსის" ძირითად გუნდს დაუბრუნდება და ადრიატიკის ლიგის ძირითად გათამაშებაში მაკედონიურ „სკოპიესთან" მატჩისთვის მოემზადება.

დავძენთ, რომ იმავე დღეს თურქეთის ფედერაციის თასის მფლობელი გახდა მაიკლ დიქსონის „ბაჰჩეშეჰირი", რომელმაც ფინალში „ტელეკომი" დააჩოქა – 89:59.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული უკანახაზელი პარტნიორებს 16 წუთში 9 ქულით, 2 მოხსნითა და 4 პასით შეეწია.

**ვიტალი ჯაფარიძე**



**ახალი გამოწვევა**

# გვილია შვეიცარიაში გადავიდა

**23 წლის ქართველი ნახევარმცველი ვაკო გვილია შვეიცარიის „ლუცერნში" გადავიდა, რომელიც იქაურ უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა. ფეხბურთელთან კონტრაქტი 2020 წლამდე გაფორმდა.**

გვილია ორჯერ გახდა ბელარუსის ჩემპიონი ბორისოვის ბატე-ს შემადგენლობაში, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ წლეულს თამაში იშვიათად უწევდა.




„ლუცერნი" ერთხელ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (1989 წელს) და ორჯერ მოიგო თასი (1960, 1992).

ბოლო ორი სეზონია, „ლუცერნი" ევროტურნირებზე გამოდის. ევროპის ლიგაზე იგი შარშანწინ იტალიის „სასუოლოსთან" გავარდა, შარშან კი – ხორვატეთის „ოსიეკთან".

**გიორგი შოთაძე**

**ინტერნეტიდან**

# ტრიბუნიდან უქომაგებს

**ცნობილი ამბავია, რომ ჰოლივუდის უპოპულარულესი ვარსკვლავი მილა იოვოვიჩი არ ივიწყებს თავის წარმოშობას და ფესვებს, რაც ყველაფერთან ერთად იმაშიც გამოიხატება, რომ იგი დონეცკის „შახტარის" ქომაგია და ამ კლუბს მას მერეც გულშემატკივრობს, რაც დონბასის მხარე სეპარატისტებმა დაიკავეს და "შახტარი" სტადიონის გარეშე დარჩა.**




იოვოვიჩის მხრიდან დონეცკური კლუბის სიყვარულის მორიგი ნათელი გამოვლინებაა ის, რომ მილას განცხადებით, იგი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მეშახტეების საქომაგოდ ევროპაში აპირებს გამგზავრებას და დიდი იმედიც აქვს, რომ მისი საყვარელი გუნდი ამ ბარიერს დაძლევს.

როგორც იცით, დონეცკის „შახტარი" ყველაზე პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის მერვედფინალში იტალიის ვიცე-ჩემპიონ „რომას" ხვდება და ამ ეტაპის გადალახვა მისთვის ძალიან რთული იქნება. თუმცა, როდესაც მილა იოვოვიჩისთანა ქალი გქომაგობს – შეუძლებელი და წარმოუდგენელი, ალბათ, აღარაფერია!

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ მძიმე გზა ბინისკენ

# დევნილები შედეგებს ასაჩივრებენ



**ზუგდიდში, სხვადასხვა შენობაში მცხოვრები დევნილები უკმაყოფილონი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი ქულებით. როგორც ისინი აცხადებენ, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრებთ ახალ ბინებს არც ამჯერად გადასცემენ. ისინი წინასწარი შედეგების გასაჩივრებას აპირებენ. ქალაქში ახალაშენებულ კორპუსებში ბინას 240 ოჯახი მიიღებს, ფართის მოთხოვნით კი განცხადება 5422-მა ოჯახმა შეავსო.**

ზუგდიდის ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში მცხოვრები ხატია ოკუჯავა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ამბობს, რომ შენობაში, სადაც 58 ოჯახი ცხოვრობს, ბინის მისაღებად საჭირო ქულა მხოლოდ სამს მიანიჭეს, სხვებს კი კვლავ მაღალი ქულები განუსაზღვრეს:

**„ბევრია ისეთი, რომელსაც არ ეკუთვნოდა მაღალი ქულის მიღება, ამიტომ გამოიყოს კომისია და შეაფასონ, ვინ როგორ ცხოვრობს“.**

**„გამოაქვეყნონ, რა კრიტერიუმებით მოგვანიჭეს ეს ქულები. იქნებ ჩვენ ვცდებით და ტყუილად ვქმნით ამხელა აურზაურს“**, — ამბობს გალელი თინათინ ციკოლია.

მისივე განმარტებით, წლიდან წლამდე ორსართულიან დაწესებულებას, რომელსაც სამხარაულის ექსპერტიზამ ნგრევადის სტატუსი მიანიჭა, ყოველწლიურად კედლები და ჭერი უზიანდება, სიცოცხლისთვის სახიფათო პირობებში იმყოფებიან და ამაზე არავინ რეაგირებს.

ანალოგიურ განცხადებას აკეთებენ რეფერალური საავადმყოფოს მიმდებარედ მცხოვრებნი. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ოთხსართულიან შენობაში ჩასახლებულები ამბობენ, რომ ექსპერტიზამ მათი შენობაც ავარიულად მიიჩნია, თუმცა დასახლებაში მცხოვრები 60 ოჯახიდან ახალი ბინა არც ერთს არ მიუღია.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მზისა მინაევი ამბობს, რომ მათ ყოფას აუტანელს ხდის ამორტიზებული სველი წერტილები და საერთო საპირფარეშო. განმარტავს, რომ ანტისანიტარიული მდგომარეობის გამო ზაფხულში ხშირად იწამლებიან:

**„ოთხი სული ვართ ოჯახში და ორი საწოლი გვაქვს, ოთხივე იქ ვწევართ. სულ ორი ოთახია, აქედან ერთი — სამზარეულო და ერთი — საძინებელი. როგორ უნდა ვიცხოვროთ ასე? ჩვენთან საპირფარეშოში ადამიანი ვერ შევა, დაბინძურებულია და წყალი ჩამოდის“.**

დევნილების ნაწილი ეჭვობს, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება პოლიტიკური შეხედულებების გამო „დაისაჯა“. გალელი იზოლდა გაბისონიას თქმით, ზაფხულში, როცა დასახლებაში სპეციალური კომისია მუშაობდა, მას პარტიული კუთვნილების შესახებ კითხვები დაუსვეს.

**„ჩემი პირადობა დაიჭირა ხელში, შემომხედა და მკითხა, თქვენ ვისთვის მუშაობდით არჩევნების დროსო. შეიძლება, ვცდები, მაგრამ ასე მგონია, რომ მეორე მხარისთვის რომ ვმუშაობდი, მაგიტომ დამაკლეს ქულები“**, — ამბობს იზოლდა გაბისონია და დასძენს, რომ ის არჩევნებზე მხარს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერდა.

როგორც დევნილთა სამინისტროს აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი აცხადებს, ქულებით უკმაყოფილო მოქალაქეებს შეუძლიათ განცხადებით მიმართონ სამმართველოს პირველადი შედეგების გამოქვეყნებიდან (24 იანვარი) 15 სამუშაო დღის განმავლობაში. ბრალდებას, რომ ოჯახები შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით შეირჩნენ, მანუჩარ ჩილაჩავა „აბსურდს“ უწოდებს.

**„ასეთი რამე გამორიცხულია. თანაც კომისია ჩამოვიდა 2017 წლის დასაწყისში და არავინ არ ჰკითხავდა არავის, თქვენ რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ხართო. ასეთი რამე არ ყოფილა და ეს არის სრული აბსურდი. ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში მცხოვრებნი სამმართველოში იმყოფებოდნენ და თითოეულ მათგანს ავუხსენი, ვის რა კრიტერიუმების გამო მიენიჭა დაბალი და მაღალი ქულები. საგანგებო რეჟიმში ვმუშაობთ და ნებისმიერს შეუძლია მოვიდეს და გაარკვიოს, ვის რაში აქვს ქულა“**, — განაცხადა მანუჩარ ჩილაჩავამ.

როგორც დევნილთა სამმართველოში განმარტავენ, ქულების მინიჭებისას უპირატესობა ენიჭება განსაკუთრებით მძიმე პირობებში მცხოვრებთ, ასევე ოჯახებს, რომელთა წევრები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი, აქვთ სოციალური სტატუსი და არიან ომის ვეტერანები.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

◎ შეუცნობელი

# ნიუტონი უფრო მართალია თუ... „ქინ-ძა-ძა“?

**ჩინელმა მეცნიერებმა სამსჯავროზე მოძრავი აგრეგატი წარადგინეს, რომელსაც საწვავი არ სჭირდება(!) და თითქოს ფიზიკის ცნობილ კანონებს არღვევს. ბუნებრივია, იბადება კითხვა: როგორ შეიძლება ასეთი რამ რეალურად ხდებოდეს?**



ცისქვეშეთის ერთ-ერთმა ტელეარხმა „Em Drive“ ძრავის მუშა მოდელის გამოცდების შესახებ სიუჟეტი აჩვენა. მოწყობილობა ლითონის წაკვეთილ კონუსს წარმოადგენს, რომელიც მაგნეტრონად წოდებული მოწყობილობითაა აღჭურვილი. იგი მიკროტალღებს წარმოქმნის, რეზონატორი მათი რხევებისთვის ენერგიას აგროვებს, რაც მიკროტალღური გამოსხივების გაწევის ძალად გარდაქმნის შესაძლებლობას იძლევა.

ფაქტობრივად, გამოდის, რომ გამწევი ძალა საწვავისა და რეაქტიული გაფრქვევის გარეშე წარმოიშვება. ექსპერტების დაბნეულობის მიზეზიც სწორედ ეს გარემოებაა: **ვინაიდან ძრავის დანადგარს დასახარჯი მუშა სხეული არა აქვს, მაშასადამე, ის იმპულსის შენახვის კანონს არღვევს**!

თავისი ფორმით ძრავა ამოტრიალებულ ვედროს ჰგავს, რომლის გამოცდას ჩინელი მეცნიერები კოსმოსში აპირებენ. ისინი დაბეჯითებით აცხადებენ, რომ აღნიშნულ დანადგარს რამდენიმე თვეში მზის სისტემის კიდემდე მიღწევა შეუძლია!

ბუნებრივია, რომ დანადგარის კონსტრუქცია გასაიდუმლოებულია, თუმცა ზოგადად (თანაც ძალიან გამარტივებულად), მისი მუშაობის პრინციპი ასეთია: წარმოიდგინეთ წაკვეთილ კონუსში ძალიან დიდი სიჩქარით შეგდებული პინგ-პონგის ბურთი. კედლებიდან ასხლეტილი იგი მათზე ზეწოლას მოახდენს და კონსტრუქციას მისი ვიწრო ნაწილის მიმართულებით გადააადგილებს. სწორედ ასეთნაირად მოძრაობენ კონუსის შიგნით მაგნეტრონის მიერ გამოსხივებული მიკროტალღები და, შესაბამისად, ასეთივე ეფექტს წარმოშობენ.

არადა, აკადემიური წრეების წარმომადგენლების ერთი ნაწილი კატეგორიულად აცხადებს, რომ ასეთი მოწყობილობა არანაირ ნდობას არ იწვევს და წმინდა წყლის ბლეფია.

— მასის უკუგდების გარეშე მოძრაობა და გაწევა შეუძლებელია: ერთ მხარეს გაიფრქვევა წვის პროდუქტები, რაკეტა კი საპირისპირო მიმართულებით მიფრინავს. ამიტომაც, აღნიშნული მოწმობა შეუძლებელია ისე მოქმედებდეს, როგორც ამას მისი შემქმნელები აღწერენ, — ამბობს კოსმიური კვლევების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი **ნათან ეისმონტი**.

ისიც უნდა ითქვას, რომ ექსპერიმენტის შეცდომებს (არასწორ გაზომვებს, გაუთვალისწინებელ მონაცემებსა და სხვ.) სხვა მეცნიერებიც აღნიშნავენ, თუმცა კი ყველანი ასე კატეგორიული არ არიან. მაგალითად, ამერიკელი ფიზიკოსის **ბრაის კასენტი**, არ მიიჩნევს ჩინელ სპეციალისტთა განცხადებას ტყუილად ან გაყალბების მცდელობად. მისი თქმით, მართალია „Em Drive“ ძრავის მუშაობა არღვევს ნიუტონის მესამე კანონს (მის თანახმად, ძალა თავისით არ შეიძლება წარმოიშვას, მას უკუქმედება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი თანამედროვე ფიზიკა ნანგრევებად იქცევა!). მაგრამ, მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ ჩინელმა მეცნიერებმა „ძრავის მუშაობაში გარკვეული მომენტების დანახვა შეძლეს, რომლებიც სხვადასხვა თანამდევი ეფექტითაა გამოწვეული“. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **არსებობს საგულისხმო ფიზიკური მოვლენები, რომელთა შესწავლა და ახსნა უაღრესად საინტერესო იქნებოდა**.



**ბრაის კასენტის აზრით, ახალი ძრავის შრომისუნარიანობის რეალური შემოწმება მხოლოდ კოსმოსში იქნება შესაძლებელი,** სადაც მასზე არანაირი გარეშე ძალები არ იმოქმედებენ. მისი გაწევის რეალური ძალის შემოწმება, ვთქვათ, ორბიტიდან გადასული თანამგზავრის უკან „აქაჩვისა“ და საჭირო სიმაღლეზე გაჩერების უნარის მიხედვით უნდა მოხდეს. საქმე ისაა, რომ მთავარია არა იმდენად გაწევის ძალის სიდიდე, არამედ ორბიტაზე ასაზიდი საწვავის ოდენობის მინიმუმამდე შემცირების შესაძლებლობა, რაც უზარმაზარ სახსრებს დაზოგავს.

**ნინო ალექსანდრია**

## ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარდებათ

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებს საერთაშორისო ექსპერტი ტრენინგს ჩაუტარებს. 5-დღიანი გადამზადების კურსი საქართველოში USAID-ის პროექტის „Zrda“ და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართება. ტრენინგთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე USAID-ის პროექტის ზრდა საქართველოში“ ხელმძღვანელს ბრაიან კინგს და ესპანელ ექსპერტს კარმენ ალტესს შეხვდა.**



საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა „ზრდა“ მიზნად ისახავს საქართველოს შერჩეულ რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

## 2018 წელს ბათუმში ერთი მილიონი ყვავილის დარგვა იგეგმება

**მერიის ინფორმაციით, ყვავილები ადგილობრივი სანერგე მეურნეობებიდან იქნება მოწოდებული.**



გარდა ამისა, როგორც „ბათუმელებს“ მერიაში განუმარტეს, მიმდინარე წელს დაგეგმილია 3 500 ხე-მცენარის დარგვაც. დამატებით 500 ძირი ხე-მცენარე ადგილობრივი სანერგეებიდან იქნება მოწოდებული, დანარჩენი კი უცხოეთიდან შემოვა. მცენარეების შესაძენად ბიუჯეტში 157 ათასი ლარია გათვალისწინებული.

ოფიციალური ინფორმაციით, ხე-მცენარეების დარგვა რეაბილიტირებულ ქუჩებზეც მიმდინარეობს. „ნონეშვილის ქუჩაზე 11 ძირი ხე-მცენარე დაირგო. აქედან 6 ძირი მაგნოლიაა (გრანდი ფლორა), 5 კი „ირმის რქა“.


## ბუკინისტი იყიდის:



**მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.**

**591-75-35-38.**

# იცით თუ არა, რომ...



● **იაპონელმა** მეცნიერებმა ჩიპი შექმნეს, რომლის მეშვეობით მემკვიდრეობით მიღებულ დაავადებათა დიაგნოსტირება ხდება?

● წყნარ ოკეანეში მდებარე, დედამიწის ყველაზე დიდ მარიანის ღრმულში, 10 ათასი მეტრის სიღრმეზე ბიოლოგებმა სიცოცხლე აღმოაჩინეს?

● თქვენი ფეხის ზომას ორ ნულს თუ მიუწერთ, მიღებული შედეგიდან საკუთარ დაბადების წელს, ხოლო ნაშთს მიმდინარე წელს გამოაკლებთ, ბოლო ორი ციფრი თქვენს ასაკს აღნიშნავს?

● მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ოფიციალური რეკომენდაციით, ყოველკვირეულად ალკოჰოლის მიღების უსაფრთხო დოზა (მას კიდევ „დრინკს“ უწოდებენ) ქალებისთვის 7 ულუფაა, მამაკაცებისთვის — 14?

● ერთი დრინკის (ანუ 10 გრამი სპირტის) შემცველობა აქვს: 4,8 პროცენტის სიმაგრის 250 მილილიტრ ლუდს; 100 მილილიტრ (ნახევარ ბოკალი) სუფრის ღვინოს; 20 გრამ 18-გრადუსიან ღვინოს; 40-გრადუსიანი სასმლის 30 მილილიტრს?

● მარწყვი, ვიტამინ C-ს მაღალი შემცველობის გამო, იმუნიტეტს ამაღლებს და გაციებისგან გვიცავს, ასევე ხელს უშლის ნაადრევი ნაოჭების წარმოშობას?



● შინაური ცხოველი ან ფრინველი ყოველ მეხუთე თბილისელს ჰყავს, თუმცა კი ყველაზე პოპულარულები მაინც ძაღლები არიან, რომლებიც დედაქალაქში ცხოველთა მფლობელების 60 პროცენტს ჰყავს?

# მთავარი თვალები და თმა ყოფილა

**ერთმანეთის შეფასებისას, მამაკაცებიც და ქალებიც ჯერ თვალებსა და თმას აკვირდებიან, ბოლოს კი ტუჩებსა და ცხვირს აფასებენ, — ასეთია ბრიტანელ მკვლევართა დასკვნა.**



ფსიქოლოგებმა 20 წელზე უფროსი ასაკის მოხალისეებს ფოტოებზე ადამიანების სახეების ცალკეული ნაკვთების შეფასება სთხოვეს, რომლებზეც ადამიანებს არც წვერი, არც სათვალე, არც სამშვენისი ან მაკიაჟი არ ჰქონდათ.

# „დამცველი“ ალუბალი

**ყოველდღიურად მირთმეული მუჭა ალუბალი... ინსულტისგან თავის დაცვაში დაგეხმარებათ.**



მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ალუბლის მჟავე ჯიშები არა მარტო დადებითად მოქმედებენ გულისა და სისხლძარღვთა მუშაობაზე, არამედ ორგანიზმიდან ჭარბი გლუკოზა და ქოლესტერინი გამოჰყავს, რაც სისხლძარღვებთან დაკავშირებულ რისკებს ამცირებს.

# თავსაბურავი, როგორც ბედნიერების ნიშანი



**ქალის გუნება-განწყობის გამოცნობა მისი... ჩაცმულობითაა შესაძლებელი.**

გამოკვლევამ აჩვენა, რომ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ მანდილოსანთა 57 პროცენტი ფართო და უფორმო სამოსელს ატარებს, კარგ გუნებაზე მყოფ ქალბატონთა 62 პროცენტი ჩასაცმელად კაბას ირჩევს.

კეკლუც ქუდებს კი, როგორც ჩაცმულობის ელემენტს და არა სიცხისგან თუ უამინდობისგან თავის დასაცავად, მხოლოდ ბედნიერი ქალები იხურავენ.

# წლებს მაინც თავისი მიაქვთ...

**თურმე, კოსმეტიკურ საშუალებათა მთავარი მომხმარებლები 25-35 წლის ქალბატონები ყოფილან.**



საქმე ისაა, რომ ეს სწორედ ის ასაკია, როცა ქალებს კანის დაბერების პირველი ნიშნები უჩნდებათ, ამიტომაც მათთან საბრძოლველად ყველა ხერხს მიმართავენ.

თუმცა ისიცაა, რომ ასაკის მატებასთან ერთად მათი ენთუზიაზმი იკლებს. 40 წლის ქალბატონებში კი ანტიასაკობრივ კოსმეტიკას ანტიეიჯ-პროცედურებს უკვე მხოლოდ ყოველი მეორე მიმართავს. 50 წლის ასაკში ეს მაჩვენებელი სულაც 20 პროცენტამდე ქვეითდება.

# გასაცინებელი ა(მ)ბები

## სიბერემდე სიქაჩლე

**მისტერ ბრაუნი დანაღვლიანებული შევიდა ბარში, დახლთან სკამზე ჩამოჯდა და რძის კოქტეილი შეუკვეთა.**

**— რა დაგემართათ? — ჰკითხა ნაცნობმა, თან გაოცებული შესქეროდა თეთრი სითხით სავსე კათხას.**

**— ეჰ, — უიმედოდ ჩაიქნია ხელი მისტერ ბრაუნმა, — არავინ იცის, როდის რა უბედურება წამოეწევა. ექიმმა ყველანაირი სასმელი ამიკრძალა და საუზმედ მხოლოდ ერთი ჭიქა რძე და ორცხობილა დამინიშნა.**

## როგორ იზრდებიან თევზები

**ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა ერთ-ერთ მოწაფეს ჰკითხა, ბუნებაში ყველაზე სწრაფად რა იზრდებაო,. მოწაფემ უპასუხა, თევზებიო.**

**— რატომ? — გაიკვირვა მასწავლებელმა.**

**— იმიტომ, რომ შარშან მამაჩემმა კალმახი დაიჭირა და რამდენჯერაც ამბავს ყვება, იმდენჯერ კალმახი ათი სანტიმეტრით იზრდება...**

## პირადი ბიბლიოთეკა

**კოვალსკების ოჯახი დაბადების დღეზე სტუმრებს ელოდა. წინა დღეს პან კოვალსკიმ წიგნები კარადიდან გამოიღო და გადამალა. ცოლს გაუკვირდა ქმრის საქციელი და უთხრა:**

**— რას აკეთებ, სირცხვილია! ჩვენთან ყველა წესიერი ადამიანი მოდის და ნუ გეშინია, შენს წიგნებს არავინ მოიპარავს...**

**— ვიცი, რომ არავინ მოიპარავს, მაგრამ, ვაითუ თავიანთი წიგნები იცნონ.**

## პატიმარი ძაღლები

**პოლიციაში აღშფოთებული კაცი მივიდა.**

**— ბატონებო, ჩემს სახლში ქურდობა მოხდა. გთხოვთ, მეძებარი ძაღლი გამაყოლოთ.**

**— სამწუხაროდ, ეგ შეუძლებელია. ორივე ძაღლმა ძეხვი მოიპარა და დავაპატიმრეთ.**

## სულელი ძაღლი

**ზიგმუნდი თავის ძაღლს ემდურება:**

**— საშინლად სულელი ცხოველია.**

**— ეგრე რატომ ფიქრობ?**

**— რატომ და, გუშინ გაზეთის მოტანა ვთხოვე, იმან კი ყავა მომიხარშა და სუფრა გაშალა.**

## რაღაც არ გამოდის

**დიუპონმა ანონიმური წერილი მიიღო:**

**— თქვენმა ცოლმა გიღალატათ პარასკევს, ზუსტად დღის ხუთ საათზე.**

**დიუპონს გაეღიმა:**

**— რაღაც არ გამოდის, ზუსტად ხუთზე? ზუსტად ხუთზე არა, ეგ ჩემი ცოლი არ არის.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4950; ევრო - 3.0998;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5204;
100 რუბლი - 4.4331; თურქული ლირა - 0.6607;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4691;
1000 სომხური დრამი - 5.1914.

**ამინდი 31 იანვრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -5, | დღე +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -9, | დღე +6 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +1, | დღე +9 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -4, | დღე +5 |
| თბილისი: | ღამე 0, | დღე +7 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge